

ბურამ კარტოზია

**მეგრული და ლაზური
ტიქსტები**

**ბამონცველოვა „ნაქერი“
თბილისი
2008**

წიგნში დაბეჭდილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი მეგრული და ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მეგრული ტექსტები ლექსებთან ერთად (მათ შორის ადრე გამოქვეყნებულებიც ურევია) ზღაპრებს და შელოცვებს შეიცავს, ლაზური მასალა კი ის ტექსტებია, რომლებიც ავტორს სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდე არ შეუტანია თავის პუბლიკაციებში. ტექსტებს ერთვის ქართული თარგმანი. წიგნს დანართად ახლავს მეგრულისა და ლაზურის მოკლე ენობრივი მიმოხილვები.

რედაქტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. იზაბელა ქობალავა

ISBN 978-9941-404-15-3

წინასიტყვაობა

წიგნში იბეჭდება ჩემ მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი ფოლკლორული მასალები ქართველურ ენათა ოჯახის ზანური ჯგუფის ენებზე – მეგრულსა და ლაზურზე.

წიგნს დანართად ახლავს მეგრულისა და ლაზურის მიმოხილვები, დაწერილი წიგნისთვის „ქართული ენა. ენციკლოპედია“.

აქ წარმოდგენილი მეგრული ტექსტები ჩემი ყრმობისდროინდელი ჩანაწერებია. 1949 წლის ივლისში სენაკის რაიონის სოფლებში ნაქალაქეში (ლებალათურე) და ზემო ნაქალაქეში (ლექაძამეს სასოფლო საბჭო) ჩავიწერე ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ზოგიერთი ლექსი შემდეგში გადაეცემა პროფ. ტოგო გუდავას, რომელმაც დაბეჭდა ისინი მეგრული ხალხური პოეზიის ცნობილ კრებულში (ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბ., 1975). წინამდებარე წიგნში მეგრული ტექსტების პასპორტში ამ ლექსების მთქმელებთან ერთად მითითებულია პირველი პუბლიკაციის მისამართიც (გუდავა 1975) სათანადო გვერდითურთ.

წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი ერთი ზღაპრის (ოდგიშელაში არიკი „სადგისელას ზღაპარი“) შესახებ საუბარი მქონდა სტატიაში: Mingrelisch-lasische Parallelen in der Folklore (იხ. *Kaukasische Sprachprobleme, Beiträge den Kaukasistentagungen in Oldenburg 1995-2001*, herausgegeben von Winfried Boeder, Bibliotheks- und Informationssystem der Universität Oldenburg, 2003, S. 193-199).

მეგრულ პოეტურ ტექსტებში სიტყვების დაწერილობა, რიტმის შესაბამისად, წარმოთქმის სრულ ან კვეცილ სტილს ასახავს, მაშინ როცა პროზაულ ტექსტებში სიტყვების დაწერილობა, ძირითადად, წარმოთქმის სრული სტილითაა გამართული. მკითხველს შეეახსენებ, რომ კვეცილი სტილით წარმოთქმისას ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ბოლოკიდური ვიწრო ხმოვნები (ი, ჯ და უ) ყოველთვის შეიძლება მოიკვეცოს, ორმაგი (ე. წ. „გრძელი“) ხმოვნები კი, მცირე გამონაკლისის გარდა (მაგ., ვითაართი „თერთმეტი“, ვითაანთხი „თოთხმეტი“), ცალმაგად გამოითქვას. სიტყვის შიგნით ვიწრო ხმოვნის ფაკულტატიური ხმარება-უხმარებლობა (როგორც, მაგ., კომპოზიტებში, ნათესაობითზე დაყრდნობილ ბრუნვებში, სათავისო ქცევის ფორმებში) ნაჩვენებია ამ ვიწრო ხმოვნის

ფრჩხილებში ჩასმით. მაგ., თოლ(ი)ჭვიტირი „თვალდახუჭული“, ჯეშ(ი)შა „ძველში“, ქუმომ(ი)ხონითია „მომიყვანეთო“ (მეგრული მეტყველების ამ თავისებურებებისათვის იხ. ტ. გუდავა, მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები (გუდავა 1975, 343–375).

თავის დროზე ლაზური ენის პრობლემების კვლევისთვის საჭირო მასალის სიმწირემ და უკმარობამ გადამაწყვეტინა ამ ენის ტექსტების ჩაწერა-ფიქსირება. თავდაპირველად მხოლოდ საქართველოში მოსახლე ლაზებისაგან (უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ერთადერთი ლაზური სოფლის – სარფის – მკვიდრთაგან, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ლაზეთიდან სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულთაგან და მათი შთამომავლებისაგან) ვიწვრდი მასალას. 1961–1972 წლებში ჩაწერილი ტექსტები 1972 წელს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“ (გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972, 240 გვ.).

შემდგომში თურქეთთან ურთიერთობა სასიკეთოდ შეიცვალა, გაძლიერდა კონტაქტები, გაჩნდა ლაზურ ენაზე მუშაობის ფართოდ გაშლის შესაძლებლობა. 1990–1992 წლებში ოთხჯერ ვიმგზავრე თურქეთში და ლაზურის სამივე დიალექტის ექვსივე კილოკავზე მეტყველი ლაზებისგან, ორმოცდაათამდე ლაზური სოფლის მკვიდრთაგან, ჩავიწერე ტექსტები. 1993 წელს იმავე გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა „ლაზური ტექსტების“ მეორე ტომი (გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993, 408 გვ.).

წინამდებარე ლაზური ტექსტები ჩემ მიერ ათეული წლების მანძილზე მოპოვებული მასალის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც დღემდე არ დამიბეჭდავს მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა. ზოგი ტექსტი სიუჟეტურად ადრე სხვა მკვლევართა მიერ ჩაწერილებს იმეორებდა, მე კი, პირველ რიგში, სიუჟეტურად განსხვავებულ, ახალ ტექსტებს ვაძლევდი უპირატესობას; ზოგის დაბეჭდვას თავის დროზე მათი სკაბრეზული შინაარსის გამო მოვერიდე; სხვათა დაუბეჭდაობასაც გარკვეული მიზეზები ჰქონდა.

„ლაზური ტექსტების“ ორივე ტომში ლაზური მასალა ქართული თარგმანის გარეშე დაიბეჭდა. მანამდე დაებეჭდნენ სარფში ჩაწერილი 8 ზღაპარი (გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: კრებ. „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 132–178) და აფხაზეთსა და აჭარაში მცხოვრები ათინელი და ართაშენელი ლაზებისაგან ჩაწერილი ტექსტები [გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები): „მაცნე“, 1970, №4, გვ. 213–232] ქართული თარგმანითურთ. ეს ლაზური მასალა გადაიბეჭდა „ლაზური ტექსტების“ მეორე ტომში ქართული თარგმანის გარეშე.

„ლაზურ ტექსტებს“ რომ ქართული თარგმანი არ დართვია, უდავოდ, ამნელებს მათს გამოყენებას, მათს ყველასათვის მისაწვდომობას, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი იყო ბეჭდვის შეზღუდულ პირობებში გამოყოფილი საბუჯდი ფორმების ლიმიტის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი მომესწრო ლაზური მეტყველების ამსახველი მასალის ჩაწერა-პუბლიკაციის მხრივ.

ახლაც ჩვეული დამოკიდებულება მაქვს ლაზურის თუნდაც პატარა, თითქოს უმნიშვნელო ტექსტის მიმართ. ადრე ფიქსირებული ზღაპრების, ნოველების თუ ანექდოტების სხვა მთქმელთაგან ხელახალი მონათხრობი არა მარტო ენობრივად, არამედ ფოლკლორის თვალსაზრისითაც არის საინტერესო. მეტიც: ერთი და იმავე მთქმელისაგან ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი სიუჟეტურად იდენტური მასალაც საინტერესოა. ამიტომაც „ლაზური ტექსტების“ პირველ ტომში პარალელურად დაებუჯდე სხვადასხვა დროს ერთი და იმავე მთქმელისგან (სალიხ თანდილავესგან) ჩაწერილი ზღაპრის (№ 40) ორი ვარიანტი.

სკაბრეზული ზღაპრები, ნოველები ზეპირსიტყვიერების აუცილებელი ნაწილია ყველგან. ლაზური ფოლკლორიც ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. მით უმეტეს, ადრინდელ ლაზურ პუბლიკაციებში არცთუ იშვიათად გვხვდება ამის დამადასტურებელი ნიმუშები.

წინამდებარე ყოველ მეგრულსა და ლაზურ ტექსტს მიჰყვება ქართული თარგმანი. სქოლიოში რიგი სპეციფიკური სიტყვა თუ შესიტყვება ზედმიწევნითი სიზუსტითაა ახსნილი. ამგვარი სიტყვებისა და შესიტყვებების (კონსტრუქციების) განმეორებისას ზედმიწევნითი თარგმანი, ჩვეულებრივ, აღარ არის გამეორებული.

მეგრული ტექსტების თარგმანში ზოგჯერ არ არის ასახული ნი და ნამ(უ)და კავშირების არსებობა ორიგინალში: მაგ., მუთი ქორდუნი „რაც იყო“ (ნაცვლად „რაც რომ იყო“-სი), კითხუ, ნამ(უ)და „ჰკითხა“ (ნაცვლად „ჰკითხა, რომ“-ისა).

ლაზური მასალის თარგმანში ხშირად უგულებელყოფილია კი „რომ“ კავშირის ხმარება ზოგ ზმნასთან. მაგ., უწუქი „უთხრა“ (ნაცვლად „უთხრა, რომ“-ისა), იმგარს-ქი „ტირის“ (ნაცვლად „ტირის, რომ“-ისა); რიგ შემთხვევაში გამოტოვებულია პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები: მა „მე“, ჩქიმი „ჩემი“, მუში „მისი; თავისი“ და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი არ „ერთი“.

დასასრულ, ნაღველგარეული სიამოვნებით ვიხსენებ ყველა ჩემს ინფორმატორს, რომელთაგან ბევრი ჩემი ღვიძლი ნათესავი ან მოგვიანებით გაცნობილი და დაახლოებული, ზოგი კი – სისხლისმეორი ნათესავივით ახლობელი და თვისი გახდა ჩემთვის. მათ-

გან ბევრი აღარ არის ამქვეყნად, ჩემდა სამწუხაროდ, ზოგიერთის (ძირითადად, უცხოეთში მცხოვრები ლაზების) შესახებ კარგა ხანია არაფერი ვიცი. ყველა მათგანზე პატივისცემით, სიყვარულით, გულითადობით და დიდი მადლიერებით ვფიქრობ. მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ყველა იმ პირს, ვისაც რაიმე დახმარება გაუწევია, თანადგომა გამოუჩენია ჩემთვის მეგრულსა და ლაზურზე მუშაობაში. ესენი კი ძალზე ბევრნი არიან: ჩემი ოჯახის წევრები, ნათესაეები, ცალკეული კერძო თუ ოფიციალური პირები, უფროსი თუ უმცროსი კოლეგები. და მაინც გამორჩეულად უნდა აღვნიშნო სარფში ძმების: ალი, ზურაბ და მამულა თანდღილაების დიდი ოჯახის განსაკუთრებული სიტბო და ამაგი. ასევე გამორჩეულად მინდა აღვნიშნო მეგობრობა და მრავალწლიანი თანამშრომლობა წათე ბაწაშთან (მემედ კაზანჯოღლისთან), ლაზური ენისა და ფოლკლორის დიდ მცოდნესთან და ენთუზიასტთან, და მის ოჯახთან. უზომო მადლიერებით ვიგონებ ჩემს გულდია მასპინძლებს „გაღმა“ ლაზეთში – მევლუდ ჩათანს და ჰამათი აძქუთს. თითოეული მათგანის უანგარო დახმარებამ, თანადგომამ, რჩევებმა, კონსულტაციებმა დიდად შემიწყო ხელი მუშაობაში. მადლობელი ვარ ჩემი ოჯახისა მუდმივი თანადგომისა და თანაგრძნობისათვის.

გურამ კარტოზია

1. გატყურია პაპაში არიკი

ქოცოფე, ქოცოფე ართი გატყურია პაპა. ხენწიფეს მუჩინუ: „გატყურია პაპაქ ქუმორთასია დო ტყურა ქომიწუასია!“ გატყურიაქ მეუჩინუ: „ტყურაში ოღალაროვა ხეჭკუჯი დო ხოჯი დო ურემი ქუმომ(ი)ჯღონასია!“ ურემი დო ხოჯი ქუმუუჯღონუ, ჩინებული ხოჯი დო ურემი. ურემი დოწკირუ, ხოჯეფი დოცვილუ. იაკინუ დო დუნიშნუნი, თიმდღას ვემერთუ ხენწიფემა. გატყურია პაპას ქუუჩქუ, ქუმულა დო ოჭოფუნა[ნი]. ჩილი დო სკუა ნაყართიშა მიდეცონუ, მუქ სკიბუს ქუმკუუდირთუ, მუში ოსურიში კაბა ქიმკიიქუნუ.

მოლაანქუ ვეზირეფი ხენწიფექ: „გატყურია პაპა ომიჭოფით დო ქუმომ(ი)ცონითია!“ ქუმორთეს ვეზირენქ დო დუუძახეს გატყურია პაპას. ათე ოსურცალო რე მონწყილინი, დუუძახუ: „პა-ატონი!“ „გატყურია სო რენია?“ – დუუძახეს. „გატყურიაქ, პატონი, გეგნოლუ, ოეჭოფუნანია დო. ხენწიფეწკუმა ტყურაქ გიშამირთუა“.

მიდართეს ვეზირენქ ვიშო. „მეწუ, მიდართით დო გატყურიაში ჩილი ოჭოფითია!“ ოჭოფეს დო ქიმცონეს. ხენწიფეს ცუნს სუმი ცირასკუა ზისნახავე ოთახუს მილაკილერს. ოსურს უწუუ ხენწიფექ: „მუ ვლოლათ გატყურიაში ჩილსია?“ „მუ ვლოლათ დო ძღაბენს ქიმეგჩათ მონინალეთია!“ ქიმეჩეს თენენს.

თე ძღაბენს უწუუ თე გატყურია პაპაქ, ნამუდა: „ჭკვერი კორი დო ოსურ(ი)შე გამიგონებუნია: ჩე შხურიში სკუა, ჩე კირიბი დო-ჭვე ოკო ძალამი წკირს, მითიქ ვემკიანაწასი თეში დო უილო ოკო მიკაჩანუევე. თის მითი ეშასხაპანსიე, თის კორიში ასო ქიმკაჩანუნია“. სხაპეს თე ძღაბენქ ეშე-გიმე, მარა ვეშაასხაპუ ნამთინს. უკული ძღაბენქ უწიის თე ოსურს: „სი ქოლოლია, დაბაეა!“ ქელაასხაპუ თექ დო გემკოსოფუ. გიმინწყუ კურთა დო ქააძირუ. ონი, თე გატყურია პაპაქ დაუხენუ თე ძღაბეფი.

თე ხენწიფეს მაჟია ხენწიფეში სკუაქ ქუმადირთუ, ოსურიში თხუალა ოკო. გემნააშკუ სინჯა. გეგმიცონეს მოჭყულუ დო მოკათუქ იცუუ. ა, მაჯირუქ იცუუ თექ. დაართინეს. გეგმიცონეს ოშკარი. ხოლო თიჯგუა მოკათუ! უკულაში გეგმიცონესი[ნი], გვალე მაჯირუ, ა, მახალი! მუჭო ქიმინას თე ხენწიფექ? გეგბორჯუ. „გატყურიაში ჩილი გეგმიცონითია დო თინა ქიმეგჩათია!“ – უწუუ ოსურს. მიდეცონუ ხენწიფექ. ულუ დიარა თე კოს ართი მარას. გეეთუუ დიარაქ, კამპანიაქინი, ასე ქომონჯიწკუმა ოკო დააჯირუანი. „სკანი ქომონჯიწკუმა ოკო ქიდიჯირევე!“ – უწიის. „ცა, ამსერი მიქ გეგონუა, –

უწუშ, — მა ჩქიმ დიანთილიწკუმა ოკო დიეჯირევე!“ ქიდიჯირეს ართო. მაჟია ორდოს გეედირთუ ოსურქ, მორსიოლაფირი რე, მარა მითინიშა არაგადენო?

დიისერუ მაჟია დლაქი[ნი], „ამ(უ)სერი ოხორასკილი ძლაბი-წკუმა ოკო ქიდიეჯირევე!“ ეს ხოლო ვარესი ღოლუ იმ(უ)სერს. ქუურქუ თე დიდას, მუს ღოლანსი[ნი], მარა მუ ქიმინას!

მასუმა სერს: „ჩქიმ ნოსაწკუმა ოკო ქიდიეჯირევე!“ ქიდი-ჯირუ ნოსაწკუმა დო მუთი თინენს ღოლუ[ნი], თინა ღოლუ თეს ხოლო.

გედირთუ მათხა დდას ორდოს დო ზოჯუ: „ცხენი დო უნა-გერი ქუმომ(ი)ქონითია ჯგირი!“ ქიგედოხოდუ, ქემნაფურინუ ჩიტ-ცალო, ქოდერგუ მართახი დო ვიშო-აშო ქაარულუუ ცხენი. „მა გოხოლუქ გატყურია პაპა, ვარა გატყურიაში ჩილი ვაეორექია“, — უწუშ ხარხის. ქოდვენდუ მართახი დო გეგნოფურინუ, ირტუ. მუში ქიანაშა მიშეელუ. თანაფა მაალე ხოლოს. ცხენი ოდირაქუმა ქა-არაქუ, უნაგერი დოფულუ, მუქ ჯაქოქაშა მითიილუ.

ჭუმე თანაფა ორდასინი, ამნიჯი ხეკუტა ბიგა გეეჭოფუ დო ოხვამეშა ჟი ეშეელუ, პატალოკიშა. პაპაქ ქუმორთუ, დიაკონი, ტარასაქ. ბარძენფეჩხუმი გიგმიილეს, პაპაქ ქოთქუუ: „სიბრძნით აღემართენია“. ქოდგედგუ დო ქოდგედგუ ჟი კენტი დო ქიდიიბურ-გონუ. ხარხიქ დოშკურონდუ: „მუ ამბე რენია?“ „ვადას გარძენთია ართი სათის, დოგორით გატყურია პაპავა, ვარა დომწყუნქია ირ(ი)-ფელს, წყარო გინგორთინუანქია, დოგჭუნქია დანხირს!“ გეგნო-ციის დო გორეს. „გატყურია პაპა, პატონი, სო რექია?“ — იძახუნა ირიათონი, იქ გიმეელუ თეურე დო ჯაქოქაშა მითიილუ. გორუნა-ნი, „პატონია!“ — დუშდახუ. „გატყურია რექო?“ „ქოვა“. ქოძირეს, ქიმიქონეს. ეთიაკინეს დო ძალამი ოდა ქიგეუდგეს მუში ცუდეს, ჯეეშო ულუდუნი, თექ. ჩილი დო სკუა ქუმუქონეს მუში დო ცხოვ-რენდუ უკული ბედნიერო, მუთუნ(ი)შა ვააშკურუდუნი, თეში.

1. მატყუარა მღვდლის ზღაპარი

ყოფილა, ყოფილა ერთი მატყუარა მღვდელი. ხელმწიფეს შემოუ-თელია: „მატყუარა მღვდელი მოვიდესო და ტყუილი მითხრასო!“ მა-ტყუარამ შეუთვალა: „ტყუილის წამოსაღებადო სამუშაო იარაღი¹ და ხარ-ურემი გამომიგზავნოსო!“ ურემი და ხარ[ებ]ი გამოუგზავნა, ჩინებული ხარ-ურემი. ურემი დააპო, ხარები დაკლა. ასწია და და-ნიშნულ დღეს² არ მივიდა ხელმწიფესთან. მატყუარა მღვდელმა

¹ „ხელის ჭურჭელი“; ² „რომ დაუნიშნა, იმ დღეს“.

იცის, რომ მოვლენ და დაიჭერენ. ცოლ-შვილი ცოლუურს წაიყვანა, თვითონ ხელსაფქვეს მიაღდა, თავისი ცოლის კაბა ჩაიცვა.

გამოაგზავნა ვეზირები ხელმწიფემ: „მატყუარა მღვდელი და მიჭირეთ და მომიყვანეთო!“ მოვიდნენ ვეზირები და დაუძახეს მატყუარა მღვდელს. ამ ქალივით გამოწყობილმა³ დაუძახა: „ბაატონო!“ „მატყუარა სად არისო?“ – დაუძახეს. „მატყუარა, ბატონო, გადაიკარგა, დამიჭერენო⁴, ხელმწიფესთან ტყუილი გამომივიდაო“.

ვეზირები გაბრუნდნენ⁵. „წადით⁶ და მატყუარას ცოლი დაიჭირეთო!“ დაიჭირეს და მოიყვანეს. ხელმწიფეს ჰყავს სამი მზეთუნახავი ქალიშვილი ჩაკეტილ ოთახში. ცოლს უთხრა ხელმწიფემ: „რა ვუყოთ მატყუარას ცოლსო?“ „რა ვუყოთ და გოგოებს მივცეთ მოსამსახურედო!“ მისცეს ამათ.

ამ გოგოებს უთხრა ამ მატყუარა მღვდელმა: „ჭკვიანი კაცი-სა და ქალისაგან გამიგონიაო: თეთრი ცხვირის შვილი, თეთრი კრავი უნდა შეწვა კარგად⁷ შამფურზე, ისე, რომ არავინ მიეკაროს⁸, და ზევით უნდა შეარტოო. იმას ვინც შესწვდება⁹, იმას კაცის ასო გამოებმებაო“. იხტუნეს ამ გოგოებმა ზევით-ქვევით, მაგრამ ვერც ერთი ვერ შესწვდა¹⁰. მერე გოგოებმა უთხრეს ამ ქალს: „შენ ქენიო, აბაო!“ შეხტა ეს და ჩამოგლიჯა. გაიხადა ნიფხავი და აჩვენა. ჰოდა ამ მატყუარა მღვდელმა დააფეხმძიმა ეს გოგოები.

ამ ხელმწიფეს მეორე ხელმწიფის შვილი მოაღდა, ცოლის თხოვა უნდა. შემოუშვა სიძე. გამოიყვანეს პატარძალი და ფეხმძიმე აღმოჩნდა¹¹. ჰა, მელოგინე აღმოჩნდა ეს. დააბრუნეს. გამოიყვანეს შუათანა. კიდევ იმისთანა ფეხმძიმი! უმცროსი რომ გამოიყვანეს, მთლად მელოგინე, ჰა, მშობიარე! რა¹² ქნას ამ ხელმწიფემ? დაიბნა. „მატყუარას ცოლი გამოიყვანეთო და ის მივცეთო!“ – უთხრა ცოლს. წაიყვანა ხელმწიფემ. აქვს ქორწილი ამ კაცს ერთ კვირას. რომ გათავდა ქორწილი, კამპანია, ახლა ქმართან უნდა დააწვინონ. „შენს ქმართან უნდა დაწვეო!“ – უთხრეს. „აჰ, ამაღამ ვინ გაიგონაო, – უთხრა, – მე ჩემს დედამთილთან უნდა დაეწვეო!“ დაწვენენ ერთად. მეორე დილას ადგა ქალი, დარეტიანებულა, მაგრამ ვინმეს ეტყვის?¹³.

მეორე დღე რომ დაღამდა, „ამაღამ მულთან უნდა დაეწვეო!“ ამასაც უარესი უყო იმ ღამეს. იცის ამ დედამ, რას[აც] უზამს, მაგრამ რა ქნას!

³ „ეს ქალივით გამოწყობილი რომ არის“; ⁴ „გადაეარდა, დამიჭერენო და“; ⁵ „წავეიდნენ ვეზირები იქით“; ⁶ „წა, წადით“; ⁷ „ძალიან“; ⁸ „რომ არავინ მიეკაროს, ისე“; ⁹ „აახტება“; ¹⁰ „ვერ ახტა“; ¹¹ „იქნა“; ¹² „როგორ“; ¹³ „ვინმესთვის ეთქმება“.

მესამე ღამეს: „ჩემს რძალთან უნდა დავწვეო!“ დაწვა რძალ-
თან და რაც მათ უყო, ის უყო ამასაც.

ადგა მეოთხე დღეს დილას და ბრძანა: „ცხენი და უნაგირი
მომიყვანეთო კარგი!“ შეჯდა, მოაფრინდა ჩიტვიით, გადაჰკრა მათ-
რახი და აქეთ-იქით გააჭენა ცხენი. „მე გახლავარ მატყუარა
მღვდელი, მატყუარას ცოლი კი არა ვარო¹⁴“, – უთხრა ხალხს.
სტკიცა მათრახი [ცხენს] და გადაფრინდა, გაიქცა. თავის სოფელ-
ში¹⁵ შევიდა. აღდგომა ახლოვდება. ცხენი საბალახოდ გააგდო,
უნაგირი დამალა, თვითონ ფულუროში შექერა¹⁶.

აღდგომის წინა საღამოს¹⁷ მოკლე¹⁸ ჯოხი აიღო და ეკლე-
სიაში ზევით ავიდა, ჭერში. მღვდელი მოვიდა, დიაკვანი,
მნათე¹⁹ ბარძიმ-ფეშხუმი გამოიტანეს, მღვდელმა თქვა: „სიბრძნით
აღემართენო“. დასცხო და დასცხო ზევით კეტი და დაიბრაგუნა.
ხალხი დაშინდა: „რა ამბავიაო?“ „ეადას გაძღვეთო ერთ საათს,
მოძებნეთ მატყუარა მღვდელიო, თორემ დავაქცევო ყველაფერს,
წყლად ვაქცევო, დავწვაო ცეცხლში!“ გაეარდნენ²⁰ და ეძებეს.
„მატყუარა მღვდელიო, ბატონო, სადა ხარო? – რომ იძახიან სულ,
ის ჩამოვიდა იქიდან და ფულუროში შევიდა. რომ დაეძებენ,
„ბატონოო!“ – დაუძახა. „მატყუარა ხარ?“ „კიო“. ნახეს, მოიყვანეს.
აღდგნენ²¹ და ძალიან კარგი²² ოდა დაუდგეს მის სახლში, ძველად
რომ ჰქონდა, იქ ცოლ-შვილი მოუყვანეს მისი და ცხოვრობდა
მერე ბედნიერად, რომ არაფრისა ეშინოდა, ისე.

2. ოდგიშელაში არიკო

სუმი ჯიმა კოჩი ცოფე. ართი ჩალა დუ, ჟირი ჯიმაღეფი ჯგი-
რი დეს. თხა დო შხურიში ჯოგი ცუნდეს თენენს. ათე ჟირი ჯიმაქ:
„ახალი ქაბარკა დოვლობათია, – უწუეს თე ჩალა ჯიმას, – ახალ-
(ი)შა მითორთასინი, სი ქორცუნდას, ჯვეშ(ი)შა მითორთასინი, ჩქი
ქოპუნდანია!“ ონჯუას დოურაყეს ჯოგის. ართი ქულა თხაქ გემ-
თოჩირთუ ახალ(ი)შა, ვარა არძაქ ჯვეშ(ი)შა მითიილუ. მუ ქიმი-
ნას? გეითიფონუ თე ქულა თხა დო მუწკუმა ქიმთიიკირუ ფაცხას.

დისერუ დო მუხვი, ლურიში გუდა დო ჭუკიქ ქეესურუ. ქუ-
მორთეს დო უწუეს, ნამ(უ)და: „სკანი თხა დოცვილი დო ქოვჩით ამსე-
რია დო სოთინი გეგმგოდირთუთია!“ დუუცვილუ დო ქოჩუ. მაჟია
ორდოს გედირთუო, გიიჯინუ-მიიჯინუ, მარა მუს გუუჩენდას აწი! მუ-

¹⁴ „თორემ მატყუარას ცოლი არა ვარო“; ¹⁵ „ქვეყანაში“; ¹⁶ „ფულურო
ხეში შევიდა“; ¹⁷ „ხვალ აღდგომა რომ იყოს, ამაღამ“; ¹⁸ „მოკლეხელიანი“;
¹⁹ ტარასა (< რუს. староста) „მნათე“; ²⁰ „გადაცვიდნენ“; ²¹ „ასწიეს“; ²²
„ძალიანი“.

მაში დუნატები თოფი გოფერუ ძალამი, გოწიმიდუუ, დოკასუ, ქი-
გიბუნუუ დო გინიილუ დო მიდართუ. იდუ წორი დო წორი შკას,
მარუო დო შკეითი დღას, შკეითი, ვითოხუთი დღას, ჟარნეჩიდოვი-
თი დღას. ართი ადგილო ქიგეგონუ თოფიში ხონარი, ცოთამა. იკი-
თხუ, ნამ(უ)და: „მუ ამბე რენია, თე ცოთამა რენიენი?“ „ხენწიფეს
ცუნსია სუმი ცირასკუა გასათხუარი. ჟირი კილომეტრისია სენი
მიკობუნია; თისია მითი მიკაყოთანს თოფით, ტყვიათიენი, თის
ურაში ოსურსკუას არქენსია“. ეთიაკინუ დო ქიმერთუ თექ, სოდუ-
თი ცოთამა დო ამბე რენი. ავარებელი კორი დინიფაფუ, ორე ჯგევა-
ჯგევაფი, ცოთამა.

ართი სომეხი ორე თაქ, თოფის გიგმიითირანს ოშის ართი
მინუთის, მარა ვემკმაყოთინე. ათე ბოშიქ, ოდგიშელაქ: „მარდობა
ლორონს, მუდგა რენი, ქუოცოთანქია. გემკმაყოთინუ-და, მარდობა
ლორონსია, ვარიდა მითინი ვეცოფუნსია“. ქიგლადოხოლუ ჯაი
ჯინს, გეუზიმუუ ნიშანი დო ჰაიდუ! ტოხაფი დო ქუდოლუ სენქ.
ირ(ი)კოს ეწყინუ. რაშეფი გიეფეფუნა დო თე ჩიჩიექ ორჯგინუ არ-
ძას! მარა ხენწიფექ მუში სიტყვას ვეგნუურთუ. „აბა, – გეგნორუ
ხენწიფექ ბრძანება, – აბანაშა მიდუეცონითია, გობონითია ძალამი
დო ოსურ(ი)წკუმა ქიდააჯირეთია!“

სომეხიქ უწუუ ათე ოდგიშელას: „ამსერი სკანი ოსურ(ი)წკუმა
ვედიჯირავა დო ათასი მანათის მერჩანქია“. ვედიჯირუ თიმ(უ)-
სერს. ორდოქ გოთანდუნი, მოჭყუდუქ მაჩინუ: „თე კორი მომაშო-
რითია, ვეერგუნია!“ „ოტ, მამაძაღლია! – ხენწიფექ, – გაგმანწყი-
თია ირ(ი)ფელი დო ჩენმაშა ქუდირგითია დუდა! სომეხ(ი)შა ქი-
გუდგით გვირგეინია!“

მითოხე თენა ჩენმასინი, მუხვი, ლურიში გუდა დო ჭუკიქ ქუ-
მორთეს თაქ. „მუ კორი რექ, მითოხექიენი?“ – უწუეს. „მა ვორექ,
ოდგიშელავა“. „ვაგაშკურინას მუთუნ(ი)შავა!“ – უწუუ ჭუკიქ. სუმი
დღა რე, მუთუნი ვაუჭკომუნი. მიდართუ ჭუკიქ, კლადავოს გეითო-
ხვატუ პოლი, ქობალი გეგმიდუ დო ქუმუულუ ოდგიშელას. „ჭკო-
მია თენავა სია, – უწუუ, – დო ქორდა სი თაქია!“

დოთინჭირეს დო სოდეთი სომეხი დო მუში ოსური ჯანუნანი,
თექ ქიმერთეს. ლურქ თოლს ქიგაფაფუ სომეხის. მუხვიქ უკახალე
მითუულუ სომეხის, დინახალე მუთი ქორდუნი, ირ(ი)ფელი გეითა-
რდუ აშო. გიკურცხინესინი, შურქ ქანთხუ უწესოქ. „დამითხინე-
თია!“ – ოსურქ მიორკიუუ. „აპაპაპავა! – ოსურს უწუუ, – თიჯგუა
წამალს ვიკეთენქ, ნამ(უ)და ეჯგუა ამბექ დღას ვამალოლასიექ“.
მიდართუ ჭკად(უ)შა, ჭკადუქ დოჭკადუ ჭახნაკი დო ქუმააგუ უკა-
ხალე. „მეუა, – უწუუ, – მუჟანს გოკონი, გეინწყია, ვარიდა მი-
თინს ვაალოლეე მუთუნია!“

მოლართუ გურ(ი)გახარებულო დო ქუმორთუ. „აწი ვარე მუთუნი საშიშია“, – უწუუ ოსურს.

მაჟია სერს მუხეი, ჭუკი დო ლურიში გუდაქ ქუმორთეს. ქუმორთეს დო გააჯინესინი, უკახალე დოგვახირი ქორე კოჩი! მუ ქიმინას აწი თე მუხეიქ?! ჭუკიქ უწუუ თენენს: „მორთით აშოვა დო ქიდოვსათია ართოვა!“ დიშოლუ ჭუკიქ კუდელი დო სომეხის ქა-ცხეიტაფუუ ჩხეინს. ლურიში გუდა, მუხეი უკახალე მიკუურე. კუდელი ქიმოჩანუნი, გეჩიონუ ართი, მაჟია დო მუხეის ადეცუ თე ჭახნაკიქ დო მუხეიქ ეიშო ქიდიფერცხელუ. ქემთახუნეს მუჭოთ იცუუ, მაბაჯალეს დო თეში. ჩხონჩხი დო გური ვამთუტებუნ, თეში გეითოფათხუ ირ(ი)ფელი დო აარყოლუ შურქ.

მიორკიუუ მოჭყუდუქ: „ღამითხინეეთ დო ნორჩალი მემეხვარი-თია!“ ეიკინუ დო ხენწიფექ გეგმორუ ზოჯუა, ნამ(უ)და: „ათენა გეგმიცონითია დო ჩენმას ქემთახუნეთია დო ოდგიშელა გეშეეცო-ნითია!“ გობონეს, გორცხონეს დო ქუდააჯირეს მუში ოსურ(ი)-წკუმა.

2. სადგისელას ზღაპარი

სამი ძმა¹ ყოფილა. ერთი სულელი იყო, ორი ძმა კარგი იყო². თხისა და ცხერის ჯოგი ჰყავდათ ამათ. ამ ორმა ძმამ: „ახალი ფარეხი მოვლობოთო, – უთხრეს ამ სულელ ძმას, – ახალში რომ შევა³, [ის] შენ გყავდეს, ძველში რომ შევა, ჩვენ გყავდესო!“ საღამოს მორეკეს ჯოგი. ერთ კოჭლ თხას შეუცდა ფეხი⁴ ახალში, თორემ ყველა ძველში შევიდა. რა ქნას? გამოიყვანა ეს კოჭლი თხა და თავისთან დაიბა ფაცხაში.

დაღამდა და თხუნელა, ძილისგუდა და თავეი ესტუმრენ⁵. მოვიდნენ და უთხრეს: „შენი თხა დაკალი და გვაჭამე ამაღამო და სადმე გამოგადგებითო!“ დაუკლა და აჭამა. მეორე დილას რომ წამოდგა⁶, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ რას გაუჩერდეს აწი! მამის დანატოვარი თოფი გაფერა ძალიან, გაწმინდა, გატენა, გადაიკიდა და გაეიდა და წაეიდა. იარა სწორსა და სწორს შუა, კვირასა და მეშვიდე დღეს, შვიდ, თხუთმეტ დღეს, ორმოცდაათ დღეს. ერთ ადგილას გაიგონა თოფის ხმა, სროლა. იკითხა: „რა ამბავიო, ეს სროლა რომ არისო?“ „ხელმწიფეს ჰყავსო სამი ქალიშვილი გასათხოვარი. ორ კილომეტრზეო თეფში კიდიო; იმასო, ვინც ჩამო-გდებს⁷ თოფით, ტყვიითო, იმას უფროს ქალიშვილს აძლევსო“.

¹ „ძმა კაცი“; ² „ორი ძმები კარგი იყვნენ“; ³ „რომ შევიდეს“; ⁴ „შეცდომით შევიდა“; ⁵ „ესტუმრა“; ⁶ „დილას წამოდგა“; ⁷ „ვინც რომ ჩამო-გდებს“.

ადგა და მივიდა იქ, სადაც სროლა და ამბავია⁸. აუარებელი ხალხი ირევა, არის ჯახანი, სროლა.

ერთი სომეხი არის აქ, თოფს გამოიცვლის ასს ერთ წუთში, მაგრამ ვერ ჩამოუგდია⁹ ამ ბიჭმა, სადგისელამ: „მადლობა ღმერთს, რაღაცაა, ვესერო, თუ ჩამოვაგდე, მადლობა ღმერთსო, არადა არაფერს დამიჭერსო“. ჩამოჯდა ხის ძირას, დაუმიზნა¹⁰ და ჰაიდა! [გაისმა] ჭახანი და ჩამოვარდა თეფში. ყველას ეწყინა. რაშები დაფოფინობენ და ამ გლახაკმა აჯობა ყველას! მაგრამ ხელმწიფემ თავის სიტყვას არ გადაუხვია: „აბა, — გასცა ხელმწიფემ ბრძანება, — აბანოში წაიყვანეთო, დაბანეთო კარგად და ცოლთან დააწინეთო!“

სომეხმა უთხრა ამ სადგისელას: „ამაღამ შენს ცოლთან არ დაწვეო და ათას მანეთს მოგცემო“. არ დაწვა იმ ღამეს. დილა რომ გათენდა, პატარძალმა შემოთვალა: „ეს კაცი მომაშორეთო, არ ვარგაო!“ „ჰაიტი, მამაძაღლიო! — ხელმწიფემ, — გახადეთო ყველაფერი და ჩენმაში უკარითო თავიო! [ქალს] სომეხზე დაუდგით გვირგვინიო!“

რომ ზის ეს ჩენმაში, თხუნელა, ძილისგუდა და თავგი მოვიდნენ აქ. „რა კაცი ხარ, რომ ზიხარო?“ — უთხრეს. „მე ვარ, სადგისელო“. „არ შეგეშინდეს არაფრისაო!“ — უთხრა თავგმა. სამი დღე არის, არაფერი უჭამია. წავიდა თავგი; საკუჭნაოში¹¹ გამოღრღნა იატაკი, პური გამოიტანა და მოუტანა სადგისელას. „ჭამეო ესო შენო, — უთხრა, — და იყავი შენ აქო!“

ისკუპეს და სადაც სომეხი და მისი ცოლი წევანან, იქ მივიდნენ. ძილი თვალზე დაეფინა სომეხს, თხუნელა უკან შეუძვრა¹² სომეხს, შიგნით რაც იყო, ყველაფერი გამოყარა აქეთ. რომ გაიღვიძეს, სუნი ეცა მყრალი¹³. „მომაშორეთო!“ — ქალმა დაიკივლა. „აპაპაპაო! — ქალს უთხრა, — იმისთანა წამალს გავიკეთებ, რომ ამისთანა საქმე მისდღეში არ დამემართოსო“. წავიდა მჭედელთან, მჭედელმა გამოჭედა საცობი¹⁴ და მოარგო უკან. „წადიო, — უთხრა, — როცა გინდა, მოიხსენიო, არადა ვერავინ გიზამს ვერაფერსო!“ წამოვიდა გულგახარებული¹⁵ და მოვიდა. „აწი არაფერია საშიშიო“, — უთხრა ცოლს.

მეორე ღამეს თხუნელა, თავგი და ძილისგუდა მოვიდნენ. რომ მოვიდნენ და გახედეს, უკან დაცობილია კაცი! რა ქნას ახლა ამ თხუნელამ?! თავგმა უთხრა ამათ: „მოდით აქეთო და მოვშარდოთო ერთადო!“ დაისველა თავგმა კული და სომეხს შეურჭო ცხვირ-

⁸ „ამბავი რომ არის“; ⁹ „ვერ აგდებს“; ¹⁰ „დაუმიზნა ნიშანი“; ¹¹ კლადავო < რუს. Кладовая; ¹² „შეუვიდა“; ¹³ „უწესო“; ¹⁴ „ჭახრაკი“; ¹⁵ „გულგახარებულიად“.

ში. ძილისგულა [და] თაგვი უკან უდგანან¹⁶. კუდი რომ შეურტო, დააცხიკვა ერთხელ, მეორედ¹⁷ და თხუნელას მოხვდა ეს საცობი და თხუნელა გადაკოტრილდა¹⁸. შესვეს როგორც იქნა, დაამშვიდეს და ისე. გულ-ღვიძლი რომ არ დაუტოვებია, ისე გამოფერთხა ყველაფერი და ააყროლა სუნმა.

დაიკივლა პატარძალმა: „მომაშორეთ და ლოგინი მომაშველეთო¹⁹“ ადგა²⁰ და ხელმწიფემ გამოსცა ბრძანება: „ეს გამოიყვანეთო და ჩემში ჩასვითო და სადგისელა ამოიყვანეთო!“ დაბანეს, დაეარცხნეს და დააწვინეს თავის ცოლთან.

3. უშკური რაგადანს

ქოცოფე ართი ხენწიფე. ათე ხენწიფეს ნოცვე ართი ქომოლ(ი)-სკუა. ხენწიფექ ქიდეელახუ დო ქუურქუ, მუჭო დოღურუნი. ქიმიტანუ მუში სკუა დო უწუუ: „ა, სკუა, ქუმორთუ ჩქიმი ღურაში დლაქ, აწი სი განაგენდე იფინია სახენწიფოს, ხოლოთია, – უწუუ, – დასაველეთიშე მუთუნფერაშე ვეედავა! იშენთი დო იშენთი მანგარი გაჭირებაქ ქუმორხეადუა-და, ათე კოლოფის გარძენქინი, თეს დუდი მონწყია!“ დო ქიმენუ კოლოფი. დოღურუ ხენწიფექ დო დო-თხორეს, მუჭოთი ოკუთნუდუნი, თეში.

გიშველუ ჟირი-სუმი თუთაქ ხენწიფეში ღურაში უკული. ქუმორთეს ვეზირენქ დო მააშინეს ხენწიფეში სკუას: „აწია აკა სანადიროთ მოლაზოჯითია გურიში გინართალოვა!“ ხენწიფექ დეთანხმუ, მარა, სამწუხაროთ, დასაველეთ(ი)შე ქუმუუხეადეს ულაქ.

მიდართეს დო მითიილეს ართი ტყაშა. ინადირეს თექი ბრელი. ბრელი ცვილეს ნადირეფი დო აშო დიირთეს. შარას ხენწიფექ მიოჯინუნი, ართი დიდი ჯიხა ქოძირუ. გუუტუუ ართი მუში მაცვენჯი: „ქიგეეგი, მუ ამბე რენია!“ ბრელი ხანს უჯინუ, მარა თიქ ვედიირთუ. ვედიირთუნი, მუქ გიაცუნუ დო მიდართუ. კარს ქიმიოდირთუნი, ქოძირუ, კარს მიკოჭარუ: „მინილენქ – ინანენქ, ვამნურქი-და, იშენთი ინანენქია!“

ხენწიფექ იფირქუ: „მუ თაში დო მუ თეშია!“ დო ისხუნუ მიწუულა. კარი გემნააჯუნი, ჟირი დარაჯენქ ხე ქემეთხეს. მიოჯინუნი, დიდი დარბაზი ქორე დო ათე დარბაზის კათეფიშ დუდი ქოძირუ მასარს მოცუნაფილი. ათეწკუმა მუში ჩქუმალირი კონიში დუდი ქოძირუ ხოლო. ათე ყარულენქ ხენწიფე ართი ოთახუშა გემნიცონეს. თაქ ხენწიფექ ქოძირუ, ართი ზისნახე მუჭოთი ლოგინს ქეგეჯანუ თოლ(ი)ჭვიტირონი. ათე ყარულენქ უწიის ხენწიფეს:

¹⁶ „უდგას“; ¹⁷ „ერთი, მეორე“; ¹⁸ „იქით გადაკოტრილდა“; ¹⁹ „მომეხმარეთო“; ²⁰ „აიწია“.

„ათე ზისნახეშა სუმი სიტყვაქ ქაგარაგადაფუუ-და, ოსურო მიდგა-
ქუნუნია, ვარი-და დუდი ოკო მერკვათათიეე!“

ხენწიფექ იფირქუ ვიშო-აშო დო ქიგააშინუ მუმაში დინატები
კოლოფიქ, გელეელუ დო მონწყუ დუდი, კოლოფ(ი)შე გემასხაპუ
უშეურქ დო სტოლს რსიოლი ქიდიიჭყუ. რაგადანს ხენწიფეში
მანგიორო:

– მიშესია მეშარეთ ჩილი დო ქომონჯი დო ოსურიში ჯიმავეა.
იდეს, იდეს დო ართი ადგილს ქიმიხვანჯესია. უკული ოჭკომალ(ი)-
შა სინჯა დო ოხორასკილქ მიდართეს დო ოსური ქიდიტესია.
შარას ქუდოხვადეს აბრაგენქ დო შირ(ი)ხოლოს დუდი შეკვათეს.
ოსურქ ბრელი ხანს უჯინუ დო, გამორთესინი, ქიგიაფუნუ
ოგორუშა დო ქოძირუ შირ(ი)ხოლო დუდ(ი)კვათირო. ოსურქ გარა
დიიჭყუ დო ინგარსინი, თეში სოროშე ჭიჭე ევაბუქ გითიილუ დო
წუალა ქუდუჭყუ ზისხირს. ოსურს ვამუთეინუ გურქ დო დო-
ცვილუ. ათემდროს დიდა ევაბუქ გითიილუ დო უწუუ თე ოსურს:
„სკანი დღას მუ ოხვარუ, სი გაჭირებული, ვარა ეს მა გუა-
ცოცხლენქია!“ მოწილუ ოდიარე, ელუუსუ სკუას დო გააცოცხლუ.
ათემდროს ოსურქ დუდეფი ტანს ქემეუდგუ, ელუუსუ თე ოდიარე
დო შირ(ი)ხოლოქ გეეცოცხალუ, მარა უბედ(უ)რობაქ თექ მოხვა-
დუ, ნამ(უ)და ქომონჯიში დუდი ჯიმაში ტან(ი)შა ქემეუდგუმუ დო
ჯიმაში დუდი – ქომონჯიში ტან(ი)შა. ასე, ზისნახე, ოსურს ქო-
მონჯო ნამუ ოკუთუნია?

ზისნახექ თოლი გაანჯუ დო უპასუხუ: „ქომონჯო თინა ოკუ-
თუნია, ნამუსითი ქომონჯიში დუდი გედგუნეე“.

– ენა ართი, ასე მაჟიავა. მიშეს მაჭალი, ხურო დო პაპავა.
იდეს ბრელი დო ტყას ქეკაასერესია. ონი, ქუწუეს ართიანს: „მო-
რიგობათ ვიყარულათია!“ პირველი ყარულობაქ ქუმოხვადუ ხურო-
სია. ხურო ყარულენსინი, ათემდროს იფირქუ, „გაეაკეთენქ ოლაფა-
ფე კუკლასია“, დო გააკეთუ კუკლა. მაჟიავახ ყარულობაქ ქუმო-
ხვადუ მაჭალს. მაჭალქ ქოძირუ სკვამი კუკლანი, ახიოლუ დო
დუჭუუ ტან(ი)სამოსი დო ქუმკააქუნუ. მას(უ)მაშახ ყარულობაქ
ქუმოხვადუ პაპას. პაპაქ ქოძირუ კუკლანი, ახიოლუ დო იფირქუ:
„მორთი დო თეს ვუხვამანქია!“ პაპაქ უხვამუ, უხვამუ დო კუკლაქ
გეეცოცხალუ. აბა, ზისნახევა, – უწუუ, – ნამუს ეკუთნებუ ბაღანა
სკუათია?

ზისნახექ უპასუხუ: „სკუათ ეკუთნებუ თის, ნამუქითი შური
ქედნუდგუეე“. „ენა ჟირია!“ – თქუუ ხენწიფექ. უშეური რაგადანს
ხოლო:

– მიშეს მაკითხე, მეწამალე დო შიკრიკი. იდეს, იდეს დო არ-
თი დიხაშა ქიმერთესია. მაკითხექ ქიიკითუ: „ათე დო ათე ხენწიფეში

ოსურ(ი)სკუა უკანასკნელი დროს რენია“. „მეწამაღლე უწუხ: „წამალს მა გუაკეთენქ, მარა მინი მეულანსია?“ შიკრიკიქ უწუხ: „გაკეთენქდა, მა ქემეუჭირინუანქია“. მეწამაღლე წამალი გააკეთუ, შიკრიკიქ უცფას ქემეურულუ დო დოსკიდუ ხენწიფეში სკუაქ. აბა, ზისნახე, ნამუში ნასკიიდეფი რენია ხენწიფეში სკუავა?

„ენა თიში ნასკიიდეფი რენია, ნამუქითი წამალი მეუჭირინუე“, – უწუხ ზისნახექ. „ენა სუმი სიტყავა!“ – თქუუ ხენწიფექ. ზისნახექ გედირთუ, ხენწიფეს ხე ქიმშურდუ დო ცუნა მოლაყუნუ. ათე დუდ(ი)კვათირი კათა არძა გააცოცხლეს დო მოლართეს ხენწიფეში დოხორეშა. ექ იყუუ კამპანიაქ დითქ დო გოლა თექ გოხოლუდი დო ამ(უ)დლა თაქ ვორექ.

3. ვაშლი ლაპარაკობს

ყოფილა ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ჰყოლია ერთი ვაჟი-შვილი. ხელმწიფე ავად გახდა და იცის, რომ მოკვდება. მოიხმო თავისი შვილი და უთხრა: „აი, შვილო, მოვიდა ჩემი სიკვდილის დღე, აწი შენ განაგებო¹ სახელმწიფოს, მხოლოდო, – უთხრა, – დასაველეთისკენ როგორმე² არ წახვიდეო! მაინც და მაინც მაგარი გაჭირვება თუ მოგხვდაო, ამ კოლოფს რომ გაძლევე, ამას თავი მოხადეო!“ და მისცა კოლოფი. მოკვდა ხელმწიფე და დამარხეს, როგორც ეკუთვნოდა, ისე.

გავიდა ორი-სამი თვე ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ. მოვიდნენ ვეზირები და მოახსენეს ხელმწიფის შვილს: „აწიო ერთი სანადიროდ წამობრძანდითო გულის გადასაყოლებლადო!“ ხელმწიფე დათანხმდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დასაველეთისკენ მოუხდათ წასვლა.

წავიდნენ და შევიდნენ ერთ ტყეში. ინადირეს იქ ბევრი. ბევრი დახოცეს ნადირი³ და აქეთ გამობრუნდნენ. გზაში ხელმწიფემ რომ შეხედა, ერთი დიდი ციხე დაინახა. გაუშვა ერთი თავისი მხლებელი: „გაიგე, რა ამბავიაო!“ ბევრ ხანს უყურა, მაგრამ ის არ დაბრუნდა. რომ არ დაბრუნდა, თვითონ დაადგა [გზას] და წავიდა. კარს რომ მიადგა, ნახა, კარს აწერია: „შეხვალ – ინანებო, თუ არ შეხვალ, მაინც ინანებო!“

ხელმწიფემ იფიქრა: „რა ასე და რა ისეო!“ და ირჩია შესვლა. კარი რომ შეაღო, ორმა დარაჯმა ხელი მოჰკიდა⁴. რომ შეხედა, დიდი დარბაზია და ამ დარბაზში კაცების თავები⁵ დაინახა სარზე ჩამოცმული ამასთან თავისი გაგზავნილი კაცის თავიც დაინა-

¹ „განაგებდე იქნებაო“; ² „რამენაირად“; ³ „ნადირები“; ⁴ „ორმა დარაჯებმა ხელი მოჰკიდა“; ⁵ „თავი“.

ნახა⁶. ამ დარაჯებმა ხელმწიფე ერთ ოთახში შეიყვანეს. აქ ხელმწიფემ დაინახა, რომ ერთი მზეთუნახავი ლოგინზე წევს თვალდახუჭული. ამ დარაჯებმა უთხრეს ხელმწიფეს: „ამ მზეთუნახავს სამ სიტყვას თუ ათქმეინებ, ცოლად გამოგყვებო; თუ არა, თავი უნდა მოგკეთოთო!“

ხელმწიფემ იფიქრა ბევრი⁷ და გაახსენდა მამის დანატოვარი კოლოფი, ამოიღო და მოხადა თავი, კოლოფიდან ამოხტა ვაშლი და მაგიდაზე ტრიალი დაიწყო. ლაპარაკობს ხელმწიფის მაგიერად:

– მიდიოდნენო მგზავრად ცოლ-ქმარი და ქალის ძმავო. იარეს, იარეს და ერთ ადგილას დაისვენესო. მერე საჭმელზე სიძე და ცოლისძმა წავიდნენ და ქალი დატოვესო. გზაზე დახედნენ ყაჩაღები და ორივეს თავი მოჰკვეთეს. ქალმა ბევრ ხანს უყურა და, რომ არ მოვიდნენ, გაემართა⁸ საძებრად და იპოვა ორივე თავმოკვეთილი⁹. ქალმა ტირილი დაიწყო და ტირილის დროს¹⁰ სოროდან პატარა ბაყაყი გამოვიდა და წოვა დაუწყო სისხლს. ქალს არ მოუთმინა გულმა და მოკლა. ამ დროს დიდი ბაყაყი გამოვიდა და უთხრა ამ ქალს: „შენს დღეს რა ეშველება, შე გაჭირვებულო, თორემ ამას მე გავაცოცხლებო!“ მოწყვეტა ბალახი, მოუსვა შვილს და გააცოცხლა. ამ დროს ქალმა თავები ტანს მიუდგა, მოუსვა ეს ბალახი და ორივე გაცოცხლდა. მაგრამ უბედურება ეს მოხდა, რომ ქმრის თავი ძმის ტანისთვის მიუდგამს და ძმის თავი – ქმრის ტანისთვის. ახლა, მზეთუნახავო, ქალს ქმრად რომელი ეკუთვნისო?

მზეთუნახავმა თვალი გაახილა და უპასუხა: „ქმრად ის ეკუთვნისო, რომელსაც ქმრის თავი ადგასო“.

– ეს ერთი, ახლა მეორეო. მიდიოდნენ მკერავი, ხურო და მღვდელიო. იარეს ბევრი და ტყეში შემოაღამდათო. ჰოდა უთხრეს ერთმანეთს: „მორიგეობით ვიდარაჯოთო!“ პირველი დარაჯობა შეხედა ხუროსო. ხურო რომ დარაჯობს, ამ დროს იფიქრა: „გაეაქეთებ სათამაშო თოჯინასო“, და გააკეთა თოჯინა. მეორედ დარაჯობა შეხედა მკერავს. მკერავმა რომ ნახა ლამაზი თოჯინა, გაუხარდა და შეუქერა ტანისამოსი და ჩააცვა. მესამედ დარაჯობა შეხედა მღვდელს. მღვდელმა რომ ნახა თოჯინა, გაუხარდა და იფიქრა: „მოდინ და ამას ვულოცებო!“ მღვდელმა ულოცა, ულოცა და თოჯინა გაცოცხლდა. აბა, მზეთუნახავო, – უთხრა, – რომელს ეკუთვნის ბავშვი შვილადო?

მზეთუნახავმა უპასუხა: „შვილად ეკუთვნის იმას, რომელმაც სული ჩაუდგაო“. „ეს ორიო!“ – თქვა ხელმწიფემ. ვაშლი ლაპარაკობს კვლავ:

⁶ „თავი დაინახა კიდევ“; ⁷ „იფიქრა იქით-აქით“; ⁸ „დაადგა“; ⁹ „თავი მოკვეთილად“; ¹⁰ „რომ ტირის, ისე“.

– მიდიოდნენ მკითხავი, ექიმბაში¹¹ და შიკრიკი. იარეს, იარეს და ერთ ადგილას მივიდნენო. მკითხავმა იმკითხავა: „ამა და ამ ხელმწიფის ქალიშვილი სიკვდილის პირას არისო¹²“. ექიმბაშმა უთხრა: „წამალს მე გავაკეთებ, მაგრამ ვინ მიუტანსო?“ შიკრიკმა უთხრა: „თუ გააკეთებ, მე მივაწვდიო“. ექიმბაშმა წამალი გააკეთა, შიკრიკმა უცებ მიურბენინა და მორჩა ხელმწიფის შვილი. აბა, მზეთუნახავო, რომლის მორჩენილი არისო ხელმწიფის შვილიო?

„ეს იმისი მორჩენილი არისო, რომელმაც წამალი მიაწვდინაო“, – უთხრა მზეთუნახავმა. „ეს სამი სიტყვაო!“ – თქვა ხელმწიფემ. მზეთუნახავი წამოდგა, ხელმწიფეს ხელი გაუყარა და სახლში გამოჰყვა. ეს თავმოკვეთილი ხალხი¹³ ყველა გააცოცხლეს და წამოვიდნენ ხელმწიფის სასახლეში. იქ გაიმართა¹⁴ კამპანია დიდი და გუშინ იქ გახლდი და დღეს აქა ვარ.

4. მეშხურეში არიკი

ორდეს სუმი ჯიმაღეფი, თენენს ქეშეძინეს დაქ. ოღო თხილანდეს თე სუმი ჯიმაღეფი შხურს, მარა ირი სერს დითმაკორდუდუ შხურს. ქუყარულუ უჩაში ჯიმაქ. მედინუ თიმ(უ)სერს ხოლო შხურქ. მაჟია სერს ოშკარი ჯიმაქ ქუყარულუ. თიმ(უ)სერს ხოლო მედინუ შხურქ. ქუყარულუ უკულაში ჯიმაქ. ქოძირუ შხურიში მახენჯი, ქააჟოთუ თოფი დო დოჭყოლუ, მარა ირტუ მახენჩქ. გოთანდუ მაჟია ორდოქ, ქუმორთუ ცუჩანი, მუში ჭიჭე და ქორკიანს. ქიმერთუ დო ქოძირუ მუში ნაჭყოლა ჭიჭე კითის.

გიშეელუ დროქ დო უჩაში ჯიმაქ გინიილუ ცუჩე, ოსური ოკო ითხუასი. ქიმერთუ ხენწიფეში დოხორეშა დო ქიითხუე ხენწიფეში ოსურსკუა. ცხოვრენდუ თინა თექ. ინარტუ ართ(ი)შახ მუში ქი(ც)ანაში ძირაფა. ოსურქ უწუუ, „ვეედავა“, მარა ვადუუჯერუ დო იშენთი მიდართუ. ოსურქ ქიმეჩუ ორცხონჯი, ართი ბოთი წყარი დო ბეჭეტი: „თენეფი გაჭირებას გაგმგოდირთუნია“.

მიდართუ თე ბოშიქ რაშით. მიშეელუ მუში სოფელ(ი)შა, მარა სოთინი ვაძირუ კოჩი. ქიმერთუ მუში ცუჩანი, ქოძირუ, კუმა მეურსინი. რაში გალე ქიმკააკირუ, მინიილუ ცუჩა, მარა კოჩი ვაძირუ. ქედოდოხოლუ დო ათემდროს ქუმორთუ მუე დაქ. გააჯუდეს ართიანს.

„მუთ მორთი, ჩქიმი ჯიმავა?“ – უწუუ დაქ. „რაშითია“, – უწუუ. გიმიილუ გალე დაქ, გელაანწყუ რაშის ართი კურხი დო ოჯკომუ. „სუმ(ი)კურხამი რაშით მორთიავო, ჯიმავა?“ – უწუუ დო „ქო, პატონია“, – უწუუ. გიმიილუ დო გელაანწყუ რაშის მაჟია

¹¹ „მეწამლე“; ¹² „უკანასკნელ დროში არისო“; ¹³ „კაცები“; ¹⁴ „იქნა“.

კუნხი დო ოჯკომუ. „ჟირ(ი)კუნხამი რაშით მორთიავო, ჯიმაიავა?“ „ქოვა“ – უწუუ ჯიმაქ. გიმიილუ გალე, გელაანწყუ მას(უ)მა კუნხი რაშის დო ოჯკომუ. „ართ(ი)კუნხამი რაშით მორთიავო, ჯიმაიავა?“ – უწუუ დო „ქო, პატონია“, – უწუუ. გიმიილუ გალე დო ოჯკომუ მართხა კუნხი ხოლო. „უკუნხე რაშით მორთიავო?“ „ქოვა“, – უწუუ. გიმიილუ დაქ დო რაშიში ტანი ხოლო ოჯკომუ. „კუნხით მორთიავო?“ – უწუუ. „ქოვა“ – უწუუ. „აბა, სი ხოლო ოკო ორჯკომევეე!“ „მეუ, ზღვაში წყარი მიელეე პიჯ(ი)მა დო უკული ოვჯკომია!“

მიდართუ ძღაბიქ დო ქუდუძახუ კერს. ქუმორთუ კერქ, ქიგედო-ხოდუ დაქ დო მიდართუ ზღვაშა. ათემდროს ირტუ ე ბოშიქ. მირულენი, თეში ქეკააჭიშეეს ძღაბი დო კერქ. ა, ოკო ოჯოფასინი, თე დროს ქააქოთუ ბოშიქ ორცხონჯი. გორჩქინდუ ტყა დო ძიგირქ ოში ვერსის. ხვატეს, ხვატეს კიბირით ღეჯი დო ძღაბიქ დო გითიილეს მაჟია განიშე. მეურს ბოშინი, კინი ქეკააჭიშეეს თენენქ. ბოშიქ ქააქოთუ ბოთი დო გორჩქინდუ ზღვაქ. გემნოჩურეს ღეჯი დო ძღაბიქ დო ქეკააჭიშეეს ბოშის. თაქ გეჩანს ვითოჟირი ჯიმა ჭადარი. ეშეელუ თე ბოშიქ ჭადარიშა. ქუდუუჯყეს ღეჯი დო ძღაბიქ კვათუა კიბირით. ვითაართი მოკვათესინი, გინიილუ თე ბოშიქ მავითოჟირაშა. გვერდი მოკვათესინი, ქააქოთუ ბეჭეტი დო დიიძახუ: „პარამ(ი)-ჰურუმი გიშერი, მიჭირს დო მიშეელია!“ თე ბოშიში ცუდეს გამკოსოფეს ჯოლორენქ ჯაჭვი დო მოღვეერულესინი, ქეკააძახუ ოსურქ: „უშეელით ჩქიმი ქომონსია!“ ქუმორთეს ჯოლორენქ დო ეკოსოფეს თე ძღაბი დო კერი. ჯოლორენქ უწუეს ბოშის: „გიმეელია აშო!“ აშკურინუ ბოშის: „ეგება ოვჯკომანიეე“, მარა იშენთი გიმეელუ. თე მუში დაში ჩქვას ქიგდოსხაპუ დო ვიშ(ო) დოღურუ. ინგარა ჯოლორეფი. ღორონთქ ყვარია გუუტუუ. ქიმერთუ ყვარიაქ ჯოლორეფ(ი)შა დო უწუუ: „მა გუაცოცხლენქია“. გელააჩევაგუ ართი თოლი დო მიდართუ „მუიდუა?“ – კითხუ ღორონთქ. „მუთუნი ვარია“, – უწუუ. გუუტუუ ძერა. ქუმორთუ ძერაქ, „მა გუაცოცხლენქია“. – უწუუ ჯოლორენს. მიაშკევს ძერა. გელააჩევაგუ მაჟია თოლი დო ქოფურინუ. „მუ ამბე რენია?“ – კითხუ ღორონთქ. „მუთუნი ვარი, პატონია“, – უწუუ ძერაქ.

გუუტუუ ტორონჯი. ქიმეჩუ ჟირი უშკური დო პლატოკი. ქუმორთუ ტორონქ, „მა გუაცოცხლენქია“, – უწუუ ჯოლორენს, მარა ჯოლორენქ ვენდეს. ეხვეწუ ტორონქ: „მემაშკეითია!“ მიაშკევს ჯოლორენქ. ქიმერთუ ტორონქ, ქელუდგუ თოლიში მანგიორო უშკურეფი, ელუუსუ პლატოკი დო გააცოცხლუ ბოში, მარა კუნხიქ ზისხირით დააღაფუ.

მიდართუ ტორონქ ეშე. „მუიდუა?“ – კითხუ ღორონთქ. „მუ და, ყვარიას ართი თოლი გელუწევაგუ ღურელიშა, ძერას – მაჟია

დო მა გუაცოცხლია“. ღორონთქ უწუუ ყვარიას: „გაუწარებედავა!“ ძერას უწუუ: „მა ქომიძირუდასია, კვერკვეს ჟი დო ჟი გიაფური- ნუნდეე დო წყარი ვაგაშედას დო თეში გიაქიანდევევა!“ ტორონს უწუუ: „ირო თაში ცოფედავა!“ თეში უკულიე, ყვარიაქ გეუწარუნი, ძერას კვერკვეს წყარი ვააშენი დო ტორონს კუჩხი ბორკიში გიმე ჭითა უღუნი, ზისხირიში ნალაფა.

მოდართუ ტორონქ, ქიმორთუ თე ბოშ(ი)შა, ქიმეჩუ პლატოკი დო ქოფურიწუ. მიდართუ ბოშიქ, ჟირი ჯოდორქ ხასიას ქელააფუ- ნუ. ქიმერთუ ცუნა. მუში ცუდეს ოთხონენ(ი)დოვიტორხორო კონი დუ ღურელი. თე ბოშიში და როკაპი ცოფე დო თე კათა თიში ნაჭკომა ცოფე. ელუუსუ პლატოკი თე კათენს ბოშიქ, გააცოცხლუ არძა დო გუუტუუ. უკული მიდართუ მუში ცუნა დო იცხოვერუ ოსურ(ი)წკუმა ბედნიერო.

4. მეცხვარის ზღაპარი

იყენენ სამნი ძმანი¹. ამათ შეეძინათ და. ჰოდა მწყემსავდნენ ეს სამნი ძმანი ცხვარს, მაგრამ ყოველ ღამეს აკლდებოდა ცხვარს. უყარაულა უფროსმა ძმამ. დაიკარგა იმ ღამესაც ცხვარი. მეორე ღამეს შუათანა ძმამ უყარაულა. იმ ღამესაც დაიკარგა ცხვარი. უყარაულა უმცროსმა ძმამ. დაინახა ცხვრის ქურდი, ესროლა თოფი და დაჭრა, მაგრამ გაიქცა ქურდი. გათენდა მეორე დილა, რომ მოვიდა შინ, მისი პატარა და კივის. მივიდა და ნახა თავისი დანაკოდი ნეკზე².

გავიდა დრო და უფროსი ძმა გავიდა სახლიდან, ცოლი უნდა ითხოვოს. მივიდა ხელმწიფის სასახლეში და ითხოვა ხელმწიფის ქალიშვილი. ცხოვრობდა ის იქ. ინატრა ერთხელ თავისი ქვეყნის ნახვა. ცოლმა უთხრა: „არ წახვიდეო“, მაგრამ არ დაუჯერა და მაინც წავიდა. ცოლმა მისცა სავარცხელი, ერთი ბოთლი წყალი და ბეჭელი: „ესენი გასაჭირში გამოგადგებაო“.

წავიდა ეს ბიჭი რაშით. შევიდა თავის სოფელში, მაგრამ ვერ- სად ნახა კაცი. რომ მივიდა თავის სახლში, ნახა, რომ კვამლი ამოდის³. რაში გარეთ დააბა, შევიდა სახლში, მაგრამ კაცი ვერ ნახა. დაჯდა და ამ დროს მოვიდა მისი და. აკოცეს ერთმანეთს.

„რით მოხვედი, ჩემო ძმაო?“ – უთხრა დამ. „რაშითო“, – უთხრა. გავიდა და ააძრო რაშს ერთი ფესი და შეჭამა. „სამფეხა რაშით მოხვედიო, ძმაო?“ – უთხრა და „კი, ბატონოო“, – უთხრა. გავიდა და ააძრო რაშს მეორე ფეხი და შეჭამა. „ორფეხა რაშით მოხვედიო, ძამიაო?“ „კიო“, – უთხრა ძმამ. გამოვიდა გარეთ, ააძრო

¹ „სამი ძმები“; ² „პატარა თითზე“; ³ „რომ კვამლი მიდის“.

მესამე ფეხი რაშს და შეჭამა. „ცალფეხა რაშით მოხვედიო, ძმარო?“ – უთხრა და „კი, ბატონოო“, – უთხრა. გამოვიდა გარეთ და შეჭამა მეოთხე ფეხიც. „უფეხო რაშით მოხვედიო?“ „კიო“, – უთხრა. გავიდა და და რაშის ტანიც შეჭამა. „ქვეითად⁴ მოხვედიო?“ – უთხრა. „კიო“, – უთხრა. „აბა, შენც უნდა შეგჭამოო!“ „წადი, ზღვის წყალი გამოივლე პირში და მერე შემჭამეო!“

წავიდა გოგო და დაუძახა ტახს. მოვიდა ტახი, შეჯდა და წავიდა ზღვაზე. ამ დროს გაიქცა ბიჭი. რომ მირბის⁵, წამოეწივნენ გოგო და ტახი. ჰა, რომ უნდა დაიჭიროს, ამ დროს გადააგდო ბიჭმა საეარცხელი. გაჩნდა ტყე და ეკალი ას ვერსზე. ღრღნეს, ღრღნეს კბილით ღორმა და გოგომ და გავიდნენ მეორე მხარეს. რომ მიდის ბიჭი, ისევ წამოეწივნენ ესენი. ბიჭმა გადააგდო ბოთლი და გაჩნდა ზღვა. გადაცურეს ღორმა და გოგომ და წამოეწივნენ ბიჭს. აქ დგას თორმეტი ძმა ჭადარი. ავიდა ეს ბიჭი ჭადარზე. დაუწყეს ღორმა და გოგომ ჭრა კბილით. თერთმეტი რომ მოჭრეს, გადავიდა ეს ბიჭი მეთორმეტეზე. ნახევარი რომ მოჭრეს, გადააგდო ბეჭედი და დაიძახა: „პარამ-ჰურუმ გიშერო, მიჭირს და მიშეელეო!“ ამ ბიჭის სახლში მოგლიჯეს ძაღლებმა ჯაჭვი და რომ გამოიქცნენ, მოაძახა ქალმა: „უშეელეთ ჩემს ქმარსო!“ მოვიდნენ ძაღლები და დაგლიჯეს ეს გოგო და ტახი. ძაღლებმა უთხრეს ბიჭს: „ჩამოდიო ქვევით!“ შეეშინდა ბიჭს: „ეგებ შემჭამონო“, მაგრამ მაინც ჩამოვიდა. ამ თავისი დის ეშვს დაახტა და მოკედა⁷.

ტირიან ძაღლები. ღმერთმა ყვაეი გამოუშვა. მივიდა ყვაეი ძაღლებთან და უთხრა: „მე გავაცოცხლებო“. ამოჰკორტნა ცალი თვალი და წავიდა. „რა იყოო?“ – ჰკითხა ღმერთმა. „არაფერიო“, – უთხრა. გამოუშვა ძერა. მოვიდა ძერა, „მე გავაცოცხლებო“, – უთხრა ძაღლებს. მიუშვეს ძერა. ამოჰკორტნა მეორე თვალი და გაფრინდა. „რა ამბავიაო?“ – ჰკითხა ღმერთმა. „არაფერი, ბატონოო“, – უთხრა ძერამ.

გამოუშვა მტრედი, მისცა ორი ვაშლი და ცხვირსახოცი. მოვიდა მტრედი, „მე გავაცოცხლებო“, – უთხრა ძაღლებს, მაგრამ ძაღლები არ ენდნენ. ეხვეწა მტრედი: „მიმიშვითო!“ მიუშვეს ძაღლებმა. მივიდა მტრედი, ჩაუდგა თვალის მაგივრად ვაშლები, ამოუსვა ცხვირსახოცი და გააცოცხლა ბიჭი, მაგრამ ფეხი სისხლით შეეღება.

წავიდა მტრედი ზევით. „რა იყოო?“ – ჰკითხა ღმერთმა. „რადა, ყვაეს ერთი თვალი ამოუკორტნია უკედრისათვის, ძერას – მეორე და მე გავაცოცხლეო“. ღმერთმა უთხრა ყვაეს: გაშავებულ-

⁴ „ფეხით“; ⁵ „რომ მირბის, ისე“; ⁶ „აქეთ“; ⁷ „იქით მოკედა“.

ხარო⁸! ძერას უთხრა: „მე მენახოსო, რომ იელისში მაღლა-მაღლა დაფრინავდე და წყალი არ გესმებოდეს და ისე დაყოოდეო!“ მტრედს უთხრა: „მუდამ ასე ყოფილიყავიო!“ ამის შემდეგაა, ყვაფი რომ გაშავდა, ძერას იელისში რომ წყალი არ ესმება და მტრედს ფეხი ბარკლის ქვემოთ წითელი რომ აქეს, სისხლით⁹ შენალები.

წამოვიდა მტრედი, მოვიდა ამ ბიჭთან, მისცა ცხვირსახოცი და გაფრინდა. წავიდა ბიჭი, ორი ძაღლი გვერდით გაჰყვა. მივიდა სახლში. მის სახლში ოთხმოცდაცხრამეტი კაცი იყო მკედარი. ამ ბიჭის და როკაპი ყოფილა და ეს კაცები მისი ნაჭამი ყოფილა. ამოუსვა ცხვირსახოცი ამ კაცებს ბიჭმა, გააცოცხლა ყველა და გაუშვა. მერე წავიდა თავის სახლში და იცხოვრა ცოლთან ბედნიერად.

5. ზუგიდიშა ქიჭანეს

ხიტუს ხიტულ ჯოხოდუ დო
ი ამბესი ბესია.

თავადი დო ჟინოსკუა

ზუგიდშა ქიჭანესია.

ქემერთესინ,

კენჭი ქუურღვესია.

ჩე კენჭის ელუდესი[ნ],

უჩაქ ქუმურთესია.

„ახავაი დიამუს,

უცვაძარე ბედსია!“

ორზოლქ ქიშელიის დო

ცუჩა დიირთესია.

შკა შარაშა ქიმერთესი[ნ],

ცხენენქ დაანდვესია,

უზინდეს, ურჭიპეს,

ვეშაფონინესია.

მიოტეს ცხენეფი დო

კუჩხით მოლაზოჯესია.

მაჟია დღას ქიმერთესი[ნ],

შკვიდერქ ქოდოხვადესია.

ტყეები გამკანწყესი დო

ცუჩა მოლღვესია.

დოჭკირეს ტყებეფი დო

ჩაფიათ დიჭესია.

თი ზოთონჯ თი ჩაფიეფით

გეითიზოთესია.

⁸ „გაშავებულიყავიო“; ⁹ „სისხლის“.

5. ზუგდიდში დაიბარეს

ხიტუს ხიტული ერქვა და
იმ ამბავს ბესია (?).
თავადი და აზნაური
ზუგდიდში დაიბარესო.
რომ მივიდნენ,
კენჭი უყარესო.
თეთრ კენჭს რომ ელოდებოდნენ,
შავი მოუვიდათო.
„აჰ, დედამისს,
უბელო ბედსო!“
საგზალი შემოელიათ და
შინ დაბრუნდნენო.
შუაგზაზე რომ მივიდნენ,
ცხენები ჩაფულოთო,
სწიეს, ჭიმეს,
ვერ ამოიყვანესო.
მიატოვეს ცხენები და
ფეხით წამობრძანდნენო.
მეორე დღეს რომ მივიდნენ,
დამხრჩვალნი დახვდათო.
ტყავი გახადეს და
შინ წამოიღესო.
დაჭრეს ტყავები და
ჩაფულებად¹ შეიკერესო.
ის ზამთარი იმ ჩაფულებით
გამოიზამთრესო.

6. წისქვილი

– გუმორძგუა ილასია!
– ღორონთქ გაცოცხილასია!
– სკან წისქვილი მუჭო ირთაფ?
– დღაშე ქუნსი ქილასია.
ეუკონანქ, ჯგარჯგალანს,
დუუკონანქ, სარსალანს,
მუჟანს წყარი მიოკორდუნ,
სანდრო ქეთაჩხარჩხალანს.

¹ „ჩაფულად (წულად, ქალამნად)“.

6. წისქვილი

– გამარჯობა ილასო!
– ღმერთმა გაცოცხლოსო!
შენი წისქვილი როგორ ბრუნავს?
– დღეში ფქვავს ქილასო!¹
რომ ავწევ, ღერღავს,
დავწევ, წმინდად ფქვავს²,
როცა წყალი მიაკლდება,
სანდრო ჩააშხრიალებს.

7. ***

ართი კოჩქი ქუმორთუ დო:
„ოსურს გირიგენქია,
ოსურ, მარა მუ ოსური,
გვალე გაკეთენქია!
ჟიროშ მანათ ფარას მერჩანქ,
ცხენ დო უნაგერსია,
ცხენიშ ბინა ვაიღუნ-და,
კინი ჩქი მიველენთია.
ოსურიშ ამბე ვეკითხა,
საქმე ეკოცენსია:
ქულათ ქორე, ცვერეთ ქორე,
ჩხეშა ეკმუცენსია.
დერგ შა ცვალ ქიდნოიქუნ-და,
არძას გაითენსია,
შხვაში ქოთომქ მინილუ-და,
ცხოცხალს ვაგუტენსია“.

7. ***

ერთი კაცი მოვიდა და:
„ცოლს გაგირიგებო,
ქალი, მაგრამ რა ქალი,
მთლად აგაშენებო!¹
ორას მანეთ ფულს მოგცემ,
ცხენ-უნაგირსო,
ცხენის ბინა თუ არა გაქვს,
ისევე ჩვენ მივიღებთო.“

6: ¹ ქილა – მარცვლეულის საწყაო, იტევს ფუთ სიმინდს; ² „სრი-
ალებს“; 7: ¹ „გაკეთებო“.

ქალის ამბავი არ იკითხო,
საქმე ჩაიშლებო:
კოჭლიც არის, ბრმაც არის,
თემო დაშლილი აქესო².
დერგში ყველი თუ გიდევს,
სულ³ გაგითაეებსო,
სხვისი ქათამი თუ შემოვიდა,
ცოცხალს არ გაუშვებსო.

8. ***

ართი, ჟირი, სუმი, ოთხი.
მარკაშ ოკითხეშა მოვრთი,
მარკას კურთა მედინაფუ,
შარაშია გედინაფუ.
შარაშიაშ დოხოორეს
დუს კვათუნდეს ჯოღორენს,
ჭვალა ვანოღეღესი დო
კატუს გილმაძღვაკუნდეს.

8. ***

ერთი, ორი, სამი, ოთხი.
მარიკას საკითხავად მოეედი,
მარიკას ნიფხავი დაქპარგვია,
შარაშია გადაჰყოლია..
შარაშის სასახლეში
თავს აჭრიდნენ ძაღლებს,
წველა არ ჰქონოდათ და
კატას წველიდნენ.

9. ***

ჩელა მეურს ტარჩენიშა,
ვემიართე სკასკერიშა.
ჩელაშ ხორცი – ხუთ შაური,
გაგმოეჩა დო ცურა ული.

9. ***

ჩელა მიდის ტარჩენისკენ¹,
ვერ მივა შუალამემდე.
ჩელას ხორცი – ხუთი შაური,
გაეყიდი და შინ წავალ.

7: ² „ეშლებო“; ³ „ყველას“; 9: ¹ ტარჩენი – მდინარე სამეგრელოში.

10. ***

მიცორქი დო მიღირუქ,
ბამბეშ ძაფით მიკირუქ,
იქი გომიჭყორდასინი,
სამუდამოთ მიდინუქ.

-

ცოროფილ პუნს გილარდე,
ფულანდ ოკო გილაბდევე,
ჯგირშა მით გომითირანსი,
ოშ მანათი გილაბდევე.

-

ეჩდოხუთი იანარს
მათი იექუნქ დიარას,
ართი ქოთომს დოპილუნქ დო
გეგმუორძლა ქიანას.

-

დედაქ კაბა დომიჭუუ,
ეი დო თუდო ჭურჭულამი,
ფერი ბოში მა ვამოკო,
ბერგამი დო ბურჭულამი.

-

ირიფელი დოეთასი დო
ვამითასუ ფენჯგირე,
თიზმა სი გოიჯინუდას,
მა ლექსიშა მორჯგინე.

-

ვაარწყექო, ვლურუქინი,
ქუდმოსკიდუ ღუმუქინი?

10. ***

მიყვარხარ და მიღირხარ,
ბამბის ძაფით მიბიხარ,
ის რომ გამიწყედეს,
სამუდამოთ მეკარგები.

-

შეყვარებული მყავს დებილი,
ფოლადი უნდა დაეადო,
კარგში ვინც გამიცვლის,
ასი მანეთი დაეუმატო¹.

-

¹ „დავადო“.

ოცდახუთ იანვარს
მეც გაემართავე ქორწილს,
ერთ ქათამს დაეკლაე და
გამოვაძღობ ქვეყანას

—

დედამ კაბა შემიკერა,
ზევით და ქვევით ჭრელიმ³,
ისეთი ბიჭი მე არ მინდა,
თოხიანი და წალდიანი.

—

ყველაფერი დაეთესე და
არ დამითესსავს ცოცხი,
იმდენი შენ იცოცხლე⁴,
მე რომ ლექსში მაჯობო.

—

ვერა ხედავ, რომ ვკვდები,
რომ დამრჩა ღომი?

11. ***

ოხირუშა მივოცაცა,
ქოთომქ მიოტარჩალუუ,
იქი ჯგირი მიზალუ დო
ტურაქ მიდარჩალუუ,
ჟინოსკუას მეკუნდი დო
მარგალქ მიდმოჩარჩალუუ.

—

ართ ჯოღორი ქოპუნსი დო
გერშა უგუ ნაფოლეე,
დოჯირელო ლალუნსინი,
ხოლო ვაჭე ნათოლეე?
გემთომილუ ბოკონეფი,
გემთომჭყვიდუ ქოთომეფი,
ცქვაფილ ძალამ ორდუ, მარა
ვააჭოფუ ბორკილ ღეჩქი.

—

ათე ფუთურ ვაჭარენსი
მუ დლაქიე, აჭარენსი!
ითამ ვაჭარ ეორეთია,
შაურიანს დოხურდანა,

² „ეიზამ“; ³ „წინწყლებიანი“; ⁴ „გეყუროს“.

ჯიბეში ქიეხატუნა,
ცხენიშ გეხუნა ვაურქუნა,
დროგის გილუხაკუნა.

—

ოთარ ბოში ვორექია,
ტყურას ვაგალორენქია,
ლარიბი დო დიდარსი
არძას გავაწორენქია.

—

სი რძირინი, თიში აშო
ირო გური მეწუხებუ,
მოკო, ირო რძირე, მარა
ჭიჭე შხეაშა მერიდებუ.
უპლანეთი გიულასი
ბრელი შხეათი დეკვირებუ.
აწი საქმეს მუჭო უჯგუ,
ინა სკანდა მემინდებუ!

—

ასე იეჭა ხალათის,
მარტი, აპრილი, მაისი, ყვევილობა, ჩურული¹, აგვისტო, ბერტყვა², მკა³, კრეფა⁴, კარაკიში⁵, დიდი თეე, გმუჯული⁶.

38. კამაკამი დო ეშკია

ა კამაკამი ოტუ. ა სვა თაინი დიუ, ა სვაშა ოშკუ უჩუმეტი დო პექსონი მილლეთი, „კამაკამი-შკუნი მულუნ“-დეი, ჯეგუთე, მუხთარი, იდარეჰემეთი ჯეგუთე, დალიშა ქომეხთე, კამაკამი ქონაგე დო მულვან. მება, საეტი ჟურ იასი, ჩოი მოხთანეტუ. ლება აე, ვა მოხთე, ვა მალე. ჩოიში მილლეთი ჩოიში მორდერი ავლა იონდრამან, დაულეყეთე, ზურნაყეთე იონდრამან: „კამაკამი მოხთას დო მევანგათენ“-დეი. იონდრე, ვა მოხთუ, ვა მოხთუ, ვა მოხთუ, სერი საეტი ჟურ დიუ, ქომოხთე. ჩომლი მუხთარი-ნიში უჭითხა: „ეე, მუხთარი-შკუნი, სერი ჰამ საეთეყეშანი ჰამ ქოდოფსკედითუ, დილო მერალი მაე, ჰუმშანი სო ოტით?“ მუხთართი უწუ-ჩი: „ჰეე, მილლეთი-შკიმი, დალი ეშკიაყე გზა მემიკვათესმა, ბითუმი გომტატარესმა, კამაკამითი გოტატარესმა. შკუ მუთი ვარმა, ჯეგაფუმერი ვოტითმა, ბირერ დომოლოდესმა დო ჩაბული-ჩაბული დიუმა; კამაკამი ჯეგაყერი ვარ ოტუშენი ყელი ზორი იუმა დო ჰიშენი ლება მავსმა“.

38. კამაკამი და ყაჩადი

ერთი კამაკამი¹ იყუ. ერთ ადგილზე დაინიშნა. ერთ ადგილზე გაგზავნა მთავრობამ და იქაური ხალხი, „ჩენი კამაკამი მოდისო“, ადგა², მამასახლისი, ადმინისტრაცია ადგენ, ტყეში მივიდ-

36: ¹ „ხარელი“; ² „მიშეებისათვის“. 37: ¹ თურქ. „დამპალი“; ² კაკლისა; ³ ლომისა; ⁴ ყურძნისა; ⁵ თურქ. „მკაცრი ზამთარი“; ⁶ თურქ. „პატარა“. 38: ¹ კამაკამი — მაზრის უფროსი; ² „დადგენ“.

ნენ, კაიმაკამს შეხედნენ და მოდიან. შუადღეს, ორ საათზე³, სოფელში უნდა მოსულიყვნენ. დააგვიანდათ, არ მოვიდნენ, ვერ მოვიდნენ. სოფლის ხალხი სოფლის დიდ ეზოში იცდის⁴, დოლებით, ზურნებით იცდიან: „კაიმაკამი მოვა და მივეგებებითო“. იცადეს, არ მოვიდა, არ მოვიდა, არ მოვიდა. ღამის ორი საათი გახდა, მოვიდნენ. გლეხი თავიანთ მამასახლისს ეკითხება: „ჰე, ჩემო მამასახლისო, ღამე ამ დრომდე⁵ აქ დავრჩით, ძალიან შევეშუოთდით, აქამდე სად იყავით?“ მამასახლისმაც უთხრა: „ჰეი, ჩემო ხალხო, ტყეში ყაჩაღებმა გზა გადაგვიჭრესო, ყველა გაგვატიტვლესო, კაიმაკამიც გაატიტვლესო. ჩვენ არაფერიო, დარჩეული ვიყავითო, სათითოოდ გვიყვესო და ჩქარ-ჩქარა მოხდაო. კაიმაკამი რადგან დარჩეული არ იყო⁶, ძალიან ძნელად მოხდაო და იმიტომ დაგვაგვიანდაო“.

39. ლაზი კურბეთიშა იგზალუ

შკუნი ლაზი ა კოჩი კურბეთიშა იგზალუ დო შეირიში გალე ქოდოსკულუ. ინითე დარდალაჲ, იონდრაჲ. პირი არაბა ვარ ეჭოფუ, მუთუ ვარ ეჭოფუ, მაშინაჲჲ ვა დოგუთუნან. ხოჯიში არაბა მულუნ, ჯინი ჩაირი გომობღერი. ქოდოგუთუ. უწუჩი: „მათია შეირიკალე მენდემიონიკოჲ, ე ჩონა-შკიმი!“ შკუნი კოჩი უწომეჲ, ლაზი. „დერი ვა მიღუნდა, ოხორზა-შკიმი ჯინ ჯელახენდა დო ჯელეგახუნას-ნაჲ, ეხთია!“ – უწუ. შკუნი კოჩითი ქეუკაჲ, ქეხთუ ჯინ, ჩაირეფეში ჯინდო ქეხთუ. შეირიში მაკინიშა იღუსი, არაბა ჯონინთუ. კოჩი: „ოხორზა-შკიმი მო გამიშკიდეტას“-დეი, ჩაბული-ჩაბული ჩაირეფე მოჩოდინამტუ. მოჩოდინამტუშანი, შკუნი კოჩი ოხორზა დუდგუ. „უუ, კწამარე, კწამარეჲ!“ – უწუჩი, შკუნი კოჩი დუდი მოსელუ დო: „ჰამიჲ ვორსია, თოლი გვანტუკო, მუ ატუ სია, თოლი ჩორი ამა-სერტუჲ!“

39. ლაზი საშოვარზე წავიდა

ჩვენი ერთი ლაზი კაცი საშოვარზე წავიდა და ქალაქის გარეთ დარჩა. სიცივით კანკალებს, იცდის. ვერაფრით მანქანა ვერ აიყვანა¹, ვერაფერი აიყვანა, მანქანები არ ჩერდებიან. ხარის ურემი მოდის, ზედ ბალახდაყრილი. დადგა. უთხრა: „მეცო ქალაქისკენ წამიყვანეო, შენი ჭირიმეო?“ ჩვენი კაცი ეუბნება, ლაზი. „ადგილი არა მაქვსო, ჩემი ცოლი ზევით ზისო და თუ დაჯდებიო, აღიო!“ – უთხ-

38: ³ „ორი საათი რომ იქნება“; ⁴ „იცდიან“; ⁵ „ამ საათებამდე“; ⁶ „დაჩვეული არ იყო-სოვის“. 39: ¹ „სრულებით მანქანა არ აიყვანა“; ² „წამიყვანეო, ჰე, ჩემო სინათლეო“.

რა. ჩვენი კაციც ახტა, ავიდა ზევით, ბალახებზე ავიდა. ქალაქის ახლოს რომ მივიდა, ურემი გადაბრუნდა. კაცმა [იფიქრა]: „ჩემი ცოლი არ გამოიხრჩოსო“³ და ბალახებს ჩქარ-ჩქარა ყრის⁴. სანამ ყრიდა, ჩვენმა ლაზმა ქალს ჩაუდგა. „უჰ, მოგკლავ, მოგკლავო!“ – რომ უთხრა [ქმარმა], ჩვენმა კაცმა თავი ასწია და: „ესო კარგიო, თვალში რომ შესობოდა, რას იზამდი შენო, თვალი დაუბრმავებუდო!“

40. ***

არ კოჩი თქუჩი: „მამა ა კოინი მეუოკვათარეა დო მი მოხთას, ფჩარეა, დიჯინას, სერი ჰირი გალე ვათ იდასდა; ა ჩუყინათე ალთუნი მეფჩარეა“. მითი რაზი ვარ იუ. არ თანე თქუჩი: „მამა ფშკომარეა, ვათი ვიდარე გალეა“. კოჩი ნუკვათედ კოინი. დოხედუ, ოშკომუ, სერი დიჯინუ, გალენდო ჯუნკოლემ, მოთ ალეტად-დეი. ჰუდ გალე ალენ. ოკიწედუსი, მუთი ვა ზირუ. ა კუკმა ქოზირუ, კუკმა დოლოზგუ; მესტეყე ზირუ, მესტეყე დოლოზგუ. არდო ფოთერი ქოზირუ, ჰიმუ ჯეზგუ. დირაათუ, ხოლო ქოდიჯინუ. საბაჰთა მოისეელუ. „იდიია, დოზგეია?“ – უწვედ, „ვარა?“ – უწუ. „ხაქი-სკანი ეტოყია!“ ა ჩუყინათე ალთუნი ქომეჩედ. ეკიბუ, ულუნ.

კოჩი თქუჩი, ჰამ ოხორი საიბი: „ჰამამა კოჩი ქომეეაონამა, ამა მესტეყე-შკიმი ქომომჩითა!“ მოიდვასენ. მესტეყე კუჩხე დოლიდუსი, დოლოზგვერი კუნდი გუნუნტუ. „ამა ფოთერი ქოჯევეითეამა“, ფოთერი ქოდიკაჩუ, დუდი ჯითუ. „ამა დოვიმბონამა, წარი მომილია, წარია!“ კუკმა ჯელუბესი, ხეყეთი ფისი დეაუ. „ჰამ კოჩია ომაჯოყანეა, პილარეა!“ ჰიმ კოჩი იმბონუშანი, ართი კოჩი იმტუ, იგზალუ, დოჩითუ, ალთუნეყეთი ეტოყუ.

40. ***

ერთმა კაცმა თქვა: „მეო ერთ ცხვარს დავეკლეო და ვინც მოვა, ვაჭმევო, დაწვეს, ღამე გარეთ არ გავიდესო“; ერთ ქვეერ² ოქროს მივეცემო“. არაინ დათანხმდა. ერთმა³ თქვა: „მე შევჭამო, არც გაეალ გარეთო“. კაცს დაუკლეს ცხვარი. დაჯდა, შეჭამა. ღამე დაწვა, გარედან დაუკეტეს [კარი], ვერ გავიდესო. ახლა გარეთ გასვლა უნდა. რომ მიმოიხედა, ვერაყერი ნახა. ერთი თუნგი ნახა, თუნგში მოისაქმა; მესტები ნახა, მესტებში მოისაქმა. კიდევ ქუდი ნახა, იმაში მოისაქმა. მოისვენა, კელავ დაიძინა. დილას წამოდგა. „გახვედიო,

39: ³ „ნუ გამოიხრჩობაო“; ⁴ „ცლიდა“. 40: ¹ „სრულეპით გარეთ არ გავიდესო“; ² „ერთი ქვეერიო“; ³ „ერთმა ცალმა“.

მოისაქმეო?" – უთხრეს, „არაო“ – უთხრა. „შენი წილი მიიღეო!“
ქვევრით ოქრო მისცეს. მოიკიდა, მიდის.

კაცმა თქვა, ამ სახლის პატრონმა: „ამ კაცს გავეყვებიო, ერთიო ჩემი მესტები მომეცითო!“ უნდა ჩაიცვას. მესტებში ყუხი რომ ჩაყო, ჩასვრილ განაველში ჩაეფლო. „ერთიო ქუდს დაეიხურაეო“, ქუდი დაიკავა, თავზე დაიხურა.. „ერთიო დაეიბანო, წყალი მომიტანეო, წყალიო!“ თუნგიდან⁵ რომ დაუსხეს, ხელიც დაესვარა. „ამ კაცს [თუ] დაეიჭერთო, მოეკლაეო!“ ამ⁶ კაცმა სანამ დაიბანა, მეორე კაცი გაიქცა, წაეიდა, თავს უშველა⁷, ოქროებიც წაიღო⁸.

41. ფუჯი მოხოფე

მაშალლა, კარამყილი (უჩა), ტალახა (ალაჯა), ჯილეელი, სირ-
მალა (მჭითა, დუდიჯენჭარერი), ალაჯა (ქჩე დო უჩა, მჭითა-ქჩე),
კინალი (მჭითა დო ქჩე ოკონტალერი). ხოჯი – ალთუნა.

41. ძროხის სახელები

მაშალლა⁹, კარამყილი¹⁰ (შაეი), ტალახა (ჭრელი), ჯილეელი¹¹,
სირმალა¹² (წითელი, თავხატულა¹³), ალაჯა¹⁴ (თეთრი და შაეი,
წითელ-თეთრი), კინალი¹⁵ (წითელი და თეთრი არეული). ხარი –
ალთუნა¹⁶.

42. არ ბიჭი ასქეიშა ნულუნ

ბიჭი: მეულუ ასქეიშა, მუ ზოპონ, ნანა-ჩქიმი?
სანდულის ქოგესქიდუ ემანეთეფე-ჩქიმი.
მა მოიტაშაქ დომჩეი, მო ულუ, მარი-ჩქიმი,
სი სოთი იგზალი-ნა, მა გომდინუყ თი-ჩქიმი!
მარი, ქოშეგინახეუს ნანაქ ეინე ჩქიმი.
სი ბეზმიში ვა იყვა, მულუნ ქარტალი-ჩქიმი!
ქარტალეფე შინახი, მარი, ეინე ჩქიმი!
სი გუი ვა გიტახეუს, კაი ენ ნანა-ჩქიმი.
მეულუ, თქეან მეგიშქეით, მუ პა, დალეყე-ჩქიმი!
მარი, ვა გემიშანა დოსთი-დუშმანი-ჩქიმი!
სქანდენ აი ვა ვიყეე, იგბალი ენ თი-ჩქიმი!
ასქეიშა მეულუ ჟურ თოლი მოტახეი,

40: ⁴ „აიღეო“; ⁵ „თუნგი“; ⁶ „იმ“; ⁷ „გადარჩა“; ⁸ „აიღო“. 41: ⁹ თურქ. maşallah „ღვთის წყალობით“; ² karanfil „ყარამყილი, მიხაკი“; ³ civeli „მშენე-
ნიერი, კეკლუცი“; ⁴ sırnalı „სირმიანი“; ⁵ „თავედაწერილი“; ⁶ alaca „ჭრელი“;
⁷ kınalı „ინიანი, ინიო შეღებილი“; ⁸ „ოქრუა“ (< თურქ. altın „ოქრო“).

მეუღლე, თქვენ მეგიშქვით, მუ პა, დაღეფე-ჩქიმი!
მარი, ეა გემიშანა დოსთი-დუშმანი-ჩქიმი!
სქანდენ აი ეა ვიყვე, იგბალი ენ თი-ჩქიმი!
ასქეიშა მეუღლე უურ თოლი მოტახეი,
ე ნანა, გუი-ჩქიმის კუშუმი მოტალეი!

აწი ნოლამისაქ უწუმეს:

მა ოყუტეს გოულუ, ნალინის გედგინეი,
ეა უღუ სოთიქსანი, მაწკინდი-მოღვალეი,
სქანკალა გოყთამინონ, ყალის ხე-მოღვალეი!
შეეყე ჩქიმი გეძინ, სანდულის გედვალეი.

42. ერთი ბიჭი ჯარში მიდის

ბიჭი: მიედივარ ჯარში, რას ამბობ, დედაჩემო?

ზანდუკზე დარჩა ჩემი მიბარებულები.

ჩემს მოსვლამდე დამიცადე, ნუ წახეალ, ჩემო
საყვარელო,

შენ თუ სადმე წახეედი, მე თავს დავიღუპავ!

საყვარელო, შეგინახავს დედა ჩემს სანაცვლოდ.

შენ არ გაბეზრდე, მოვა ჩემი წერილი!

წერილები შეინახე, საყვარელო, ჩემს სანაცვლოდ!

შენ გულს არ გაგიტეხს, კარგია დედაჩემი

მიედივარ, თქვენ დაგიტოვეთ, რა ექნა, ჩემო დებო!

საყვარელო, ნიშნის მომგებად არ გამიხადო მტერ-
მოყვარე!

შენგან ცალკე არ ვიქნები, ბედია ჩემი თავი!

ჯარში მიედივარ, ორი[ვე] თვალმობრეცილი¹,

ეჰ, დედა, გულში ტყვიამოხვედრილი!

ახლა პატარძალი ეუბნება:

მე ეხოში ვივლი, ქოშზე დამდგარი,

არსად წავალ, ბეჭედწამოცმული,

შენთან გავივლი, ყელზე ხელმოხვეული²!

ჩემი ნივთები დევს, ზანდუკზე დადებული.

¹ „ჩემი მოყვარე-მტერი“; ² „თვალმობრეცილი“; ³ „ხელმოდებული“.

43. ***

ბიჭი: ქარმატეშ გზას არ კუჩხე ქოგდოსეტუ,
ბიდიშკულე სევედა ჰექ მოლახეტუ,
იდუშუნტუ, ხვალდა-ხვალდა ქოხეტუ,
მუ იდუშუნ, სევედა, სევედგული-ჩქიმი?

ბოზო: მუ ბიდუშუნ! მა დერდი მილუნ იში,
ღმაზუტ ვარ მომლი დო მოთ მოხთი მბოში?

ბიჭი: ალის ხე მობიდვათ, დოპათ ჯუმბუში,
ჰაში დეი ვა ბძიომთ, სევედა-ჩქიმი.

ბოზო: კაპისტონაშ გეხთი, მუ გოშიჯინი?
ვით კოჩიშ დოღდოხე ხოლდო გიჩინი,
ოკობნალური დო ქოდოზიჯინი,

ბიჭი: სევედა-ჩქიმი, სი ჰაწი ხარკიში რე,
ტკობაშაში სი ხოლდოთი ჩქიმი რე!

43. ***

ბიჭი: წისქვილის გზას ნაყეხური¹ აჩნდა,
რომ მივედი, სატრფო იქ იჯდა,
ფიქრობდა, მარტოდმარტო იჯდა,
რაზე ფიქრობ, სატრფოვ, ჩემო საყვარელო?

გოგო: რაზე ფიქრობ! მე ასი დარდი მაქვს,
სომინდი არ მოგიტანია² და რატომ მოხვედი ცარიული?

ბიჭი: ყელზე ხელი მოვიდოთ, გაემართოთ მხიარულება,
ასეთ ადგილს ვერ ვნახავთ, ჩემო საყვარელო!

გოგო: კაპისტონაში³ ჩახვედი, რა ნახე?⁴
ათ კაცს შორის კიდევ გიცანი,
შეველონდი და გაეიშხლართე.

ბიჭი: ჩემო საყვარელო, შენ ახლა სხვისი ხარ,
მალულად შენ კვლავაც ჩემი ხარ!

¹ „ერთი ფეხი“; ² „არ მოიტანე“; ³ „ყელზე ხელი მოვიდოთ“; ⁴ კაპისტონა – სოფელი ლაზეთში, არქაბის თემში. დღეს კაპისტონა ქალაქ არქაბის რაიონია, ჟილენი კაპისტონა „ზემო კაპისტონა“ კი – არქაბის ილჩეს სოფელი; ⁵ „მოიხილე“.

44. ***

სეიში მწკუფყინობა მოხთუ დო ქოგომათუ,
 თოლი-სქანიშ კურშუმი გური-ჩქიმის ქომატუ.
 გუი-ჩქიმი დომიჭვი, ნომჩქვათი ვა დუტალი,
 გუის მოდ ვა მემიჭვი, მოთ მიტახი იგბალი?
 გუის ნომჩქვა ხვალ უღუნ, ამა ხოლო ბიბირომ,
 მთელ დუნდაში ბოზოყუ სქანისთეი ვა ბძირომ.
 ოროყა მუყეი რენ, ჟურ თოლის ვა აძირენ.
 დუნდას ჰენნი მსქვა ბოზო მსქვა გურიშენ პატი რენ.
 დუნდაზ ჟინ კად ოჯალი მსქვა გუითენ იქომან,
 ამა მსქვა მთეიის, გიჩქინ, ჯოლოყეყექ დოძგუმან.
 იმდაგვალი ბიბირომ, გუი-ჩქიმის ჭვინი რენ,
 პა ბირაყაშ ნენაყე, ჩქიმი თქევი, მთინი რენ,
 მთეიი, ნაკო მსქვა ტასენ, ჰეკონაი ინი რენ!

44. ***

ღამის სიბნელე დადგა¹ და მომეხურა,
 შენი თვალის ტყვია ჩემს გულს მოხვდა.
 გული დამიწვი, ყერყულიც არ დატოვე,
 რად არ შემობრალე², რატომ დამიმსხერიე³ ბედი?
 გულს მხოლოდ ყერყული აქეს, მაგრამ კიდევ ვმღერი,
 მთელი ქვეყნის გოგოებს შენნაირად არ ვხედავ.
 სიყვარული როგორია, ორი თვალი ვერ ნახავს.
 ქვეყნად უღამაზესი გოგო ღამაზ გულზე ცუდია.
 ქვეყანაზე კარგ ოჯახს ღამაზი გულით ქმნიან,
 მაგრამ ღამაზ თოვლზე, იცი, ძაღლები მოისაკმებენ.
 მუდამ ვმღერი, ჩემს გულში ტკივილია,
 ამ სიმღერის სიტყვები, ჩემი თქმული, მართალია,
 თოვლი, რაც უნდა ღამაზი იყოს, მაინც ცივია⁴!

45. ***

დოი, დოი, ხოლო ქოგომაშინუ,
 დერდომარი გუი ვა მომაშენუ.
 მა ჰამ დერდის, გმული, მუჭო მებინჭა?
 დოქსე თოკი გებიდვა დო ქებინჭა?

¹ „მოვიდა“; ² „გულზე რატომ არ მიმიწვი“; ³ „გამიტეხე“; ⁴ „თოვლი, რამდენი ღამაზი იქნება, იმდენი ცივია“.

45. ***

ოი, ოი, კვლავ გამახსენდა,
 დარდიანი გული არ დამიმშვიდდა.
 მე ამ დარდს, საყვარელო, როგორ გავუძლო?
 თუ თოკი ჩამოვიცევა¹ და ჩამოვეკიდო?

46. ***

დუზალიქ ნა ჭოყუ, ნადა კინჩი ტუ?
 გზა-მუში ვა ძირუ, უგზალე ნიტუ,
 შქურინათენ, მუ ვატუ, ვა უჩქიტუ,
 დუზალიშ ჭოყედი ხოლო იბირტუ.
 ბირაფა-მუშითი ვა იჩოდეტუ,
 ბირაფას ოყუში ჭვინი-მუში ტუ.
 აში ნდლა-შქით სეის კინჩი ნობუტუ,
 მაშქითანის კინჩის შუე ქოგამუხთუ.
 დუზალიშ ჭოყედი ნამუ მუჩითუ?!

46. ***

მახეში გაბმული¹ რომელი ჩიტი იყო?
 გზა ვერ გაიგნო², უგზოდ მიდიოდა,
 შიშით, რა ექნა, არ იცოდა,
 მახეში გაბმული³ კიდევ მღეროდა.
 მისი სიმღერაც არ თავდებოდა,
 სიმღერა სავსე იყო მისი ტკივილით⁴.
 ექვს დღე-შეიდ ღამეს ჩიტი ება,
 მეშეიდე დღეს⁵ სული აღმოხდა.
 მახეში გაბმული რომელი გადარჩა?

47. ***

თითო-თითო პკორეცხი: შქით წანა დიეუ;
 დოეორგი-ოტი, ტოტი ღირდუ, ნჯა დიეუ,
 სქანკალა ხთიმეეყე გოიქთეს, ქომოხთეს,
 მპოლიშ გზალეყეს მიღუნ თოლეეფეჩქიმი.
 ხოლო ნაკო პკუსინა, მწორა?
 ქომომიხთუ ღურაში ორა,

45: ¹ „დავიდო“; 46: ¹ „მახემ რომ დაიჭირა“; ² „თავისი გზა არ ნახა“; ³ „მახის დაჭერილი“; ⁴ „სიმღერაში სავსე მისი ტკივილი იყო“; ⁵ „მეშეიდეზე“.

ბიდა ზულაშა, დოლოობიშქიდა!
ჰაშო შური ნაკოშა კჭკიდა?
მოხთი, ქომძირი, გურის ქომემიჭვი,
მუ ნა მალოდუ, გიწვა დო სით დომიწვი!
ვა მებუხონდუ, დერდუყეს დოლოობიჭვი.
ჰადა მუ მოლოდი, სევგაული-ჩქიმი?

47. ***

სათითოოდ დავთვალე: შეიდი წელი გახდა;
ჩემი დარგული¹ ტოტი გაიზარდა, ხე გახდა,
შენთან ერთად წასულები დაბრუნდნენ, მოვიდნენ,
სტამბოლის გზებისკენ მაქეს [მიქცეული] თვალები.
კიდევ რამდენი ვიკენესო, ვიწვალო?
მომივიდა სიკედილის დრო,
წავიდე ზღვაზე, ჩაეხრჩო!
ასე სანამდე ამომხდეს სული?²
მოდო, მნახე, შემობრალე³,
რაც მომივიდა, გეტყვი და შენც მითხარი!
ვერ გაუძლებ, დარდებში ჩავიწვი.
ეს რა მიყავი, ჩემო საყვარელო?

48. ***

– ჭე ბადამი, მუ ზოპონ,
ლადრე დიშქას ქადეენი?
– ხომბულა ელუდეაის,
ლადრესთი ვა ადეენი?
– ბერე, სევდალი-სქანის
კაპულა მეგადეენი?

48. ***

– ე, ბაირამ, რას ამბობ,
ნედლ შეშას მოეკიდება?
– ხმელს რომ ამოუდებ,
ნედლსაც არ მოეკიდება?
– ვაჟო, შენს შეყვარებულს
ზურგს გაუმაგრებ¹?

47: ¹ „რომ დაერგე“; ² „სული სანამდე ეწყვიტო“. 48: ¹ „მიადებ“.

ყუჯიქ თრანგის დავა ოლოდუქი: „მან ნენა მოთ ვარ მომჩია?“
თრანგიქ უწვეენ-ქი: „მან სინ ემკათას მექჩაფ-ქი, სქანი ნენა ქონაგ-
ნეფსადა“.

ჩხუნდი მო მეშაჩაფ ექ, სი ნა ლაზიმი ვა გიღუნ!

ბერეკალა გზას მო გედგითურდა: მუქ გიანთხაში, იმგარსდა, სი
გიანთხაში, მეგოძიცაფსდა.

კართა ნენა წინაგინონ, კართა ადიმი ზიმაგინონ.

ბადიქ თქუ-ქი: „ნისა ნა მოიყონი, ჟურ კუკუმა წკაი ქომომანძი-
ნუ მომალუშია.

ია ემკათა მხირაჯე ენ-ქი, უმოჭკირუ კარკალას ხე დოლოჩაფს.

კოლო-კობოს მოჭკოდა! (|| კოლო-კობო მოგისთვას!). თქვანი
კეზილე გამაჭკოდას (|| იმსილას)! სქანი ყვილეფე ლეტას ხცას (||
ლეტაქ ჭკომას)!

გოგიხთა, გოგაჭარა (|| გოგანცახა)! სქანი კურბანი ვიდა! შური
მშინე!

ძროხამ ღმერთს შესჩივლა: „მე ენა რატომ არ მომეციო?“
ღმერთს უთქვამს: „მე შენ იმისთანას მიგცემ, რომ შენს ენას გაიგებ-
სო“.

ცხვირს ნუ ჩაყოფ იქ, სადაც შენი საქმე არ არის?¹

ბავშვთან ერთად გზას ნუ დაადგებიო: თვითონ თუ წაიქცა,
იტირებსო, შენ თუ წაიქეცი, დაგცინებსო.

ყოველი სიტყვა უნდა აწონო, ყოველი ნაბიჯი უნდა გაზომო.

ბერიკაცმა თქვა: „რძალი რომ მოვიყვანე, ორი თუნგი წყალი
მომემატა მოსატანიო“.

ის იმისთანა ქურდია, რომ მოუჭრელ აყიროში ხელს ჩაყოფს.

მწარე-მკევახეში ამოწყდე (მწარე-მკევახე გაგიწყდეს)! თქვენნი
გეარი (სანათესაო) გაწყდეს! შენი ძვლები მიწაში დაღებეს (|| მიწაში
შეჭამოს)!

შემოგველე, გენაცვალე!² შენს ზვარაკად წავიდე! საყვარელო!⁴

¹ შდრ. ნ. მარი: „კოლოსკობოს მოჭკეადერი по Февзи-нею какое-то хопское ругательное выражение“ (Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910, стр. 156); ² „იქ, სადაც შენ რომ არ გჭირდება!“; ³ „შემოგველო, შემოგეწერო (|| შემოგეკრა)“; ⁴ „სულის მხსენებელო“.

ლაზური ტექსტების პასპორტი

1. ჰევა მუჰამედის ასული კარახასანოღლი-ჯეევიში, დაბ. 1909. სარფი, 1967. 9. IX.
2. მერიკო მუჰამედის ასული ბაქრაძე, დაბ. 1954. სარფი, 1967. 13. IX.
3. აეთანდილ აღის ძე აბულაძე, დაბ. 1931. სარფი, 1974. 3. X
4. სვეტლანა მუჰამედის ასული ბაქრაძე, დაბ. 1955. სარფი, 1967. 13. IX.
5. მემეტ შაბანის ძე ქორიძე, დაბ. 1884. სარფი, 1961. 20. VIII.
- 6, 7. ეუსუფ აღის ძე მემიშიში, დაბ. 1906. სარფი, 1961. 21. VIII.
8. ალი ოსმანის ძე აბულაძე, დაბ. 1895. სარფი, 1967. 30. IV.
- 9, 11, 12. ხუსეინ მეელუდის ძე კახიძე, დაბ. 1938. სარფი, 1961. 31. VIII.
10. მემეტ ოსმანის ძე ნარაკიძე, დაბ. 1901. კეარიათი (გონიოს სასოფლო საბჭო). ჩაიწერა ოთარ ვანიძემ, 1970.
- 13–15. ეუსუფ მემიშიში. სარფი, 1961. 21. VIII.
16. ნარგიზ ხასანის ასული ჯეევიში, დაბ. 1955. სარფი, 1967. 13.IX.
17. ამირან (ხემდი) მუსტაევას ძე თანდილაევა, დაბ. 1904. სარფი, 1961. 23. VIII.
- 18–21. სალის იბრაიმის ძე თანდილაევა, დაბ. 1906. სარფი, 1967. 13. IX.
22. ჰაკი ეზიზის ძე კახიძე, დაბ. 1912. სარფი, 1984. 27. II.
23. გიორგი ოსმანის ძე მემიშიში, დაბ. 1957. სარფი, 1967. 12. IX.
- 24, 25. ჰენიფე მემეტის ასული ემირალოღლი-თანდილაევა, დაბ. 1906. სარფი, 1967. 29. IV.
26. ჰაჯერ მუჰამედის ასული კაკაბაძე-ვანლიში, დაბ. 1933. სარფი, 1967. 24. I.
- 27 ხატიჯე მუსტაევას ასული თანდილაევა-კახიძე, დაბ. 1919. სარფი, 1984. 27. II.
28. ხატიჯე მემეტის ასული კამბუროღლი-შალაფოღლი, დაბ. 1904, არქაბელი, სოფ. კარჰანადან, ცხოვრობდა თხილნარის სასოფლო საბჭოს სოფ. აგარაში. აგარა, 1967. 21. IX.
- 29–31. წათე (მემეტ) ნაზიმის ძე ბაწაში (კახანჯოღლი), დაბ. 1948, მშობლები წარმოშობით არქაბელები არიან. თბილისი, 1977. .

33. ახმეტ ალი-რიზას ძე ხაშიმიში (ოზდემელი), დაბ. 1940, არქაბელი, სოფ. კარპანადან. არქაბი, 1992. 6. VI.

34. შენოლ ახმედის ძე ადინ (დერეიშოლი), დაბ. 1966, არქაბელი, სოფ. გადაზნოი ონადან. არქაბი, 1992. 6. VI.

35. ჰადათი მეველუდის ძე აქუთ (მაკოლი). დაბ. 1945, ვიწელი. თბილისი, 1990. 11. V.

36. მუსტაფა ჰაიდარის ძე აჯარ (ხოჯოლი), დაბ. 1934, ვიწელი, სოფ. ხარადან. ვიწე, 1990. 25. X.

37. ჯიჰან ალის ძე ენგინ, დაბ. 1934, ვიწელი, სოფ. ჭანაპეთიდან. ვიწე, 1990. 25. X.

38, 39. მეველუდ აჰმედის ძე ჩათან, დაბ. 1956, ათინელი სოფ. მამაკივათიდან (უბანი: ბომფონა). აღანა, 1990. 4. IV..

40. მუარემ იბრაიმის ძე ჩათან, დაბ. 1950. ბომფონა (ათინა, სოფ. მამაკივათის უბანი), 1990. 28. III.

41. ნეჰალ დურსუნ-ალის ასული ამრილმიშ-ჩათან, დაბ. 1962, ათინელი სოფ. მამაკივათიდან (უბანი ბომფონა). აღანა, 1990. 2. IV.

42. ჭადიმე ახმედის ასული ჩაუშოლი-მემიშიში, დაბ. 1887. სარფი, 1967. 24. I.

43. სულბიე მუსტაფას ასული ნამლი (კუჭუკიბრაიმოლი)-ქეყენეკ (ჯეირან) დაბ. 1945, არქაბელი, სოფ. ლომადან. ვიწე, 1990. 25. X.

44—47. წათე ბაწაში.

48. ამშე ალის ასული შაინოლი-ბალთაჯი (სუეალი), დაბ. 1911, ვიწელი, სოფ. ჭანაყეთიდან. ვიწე, 1990. 25. X.

49. სარყელები.

3°. აეთანდილ აბულაძე (იხ. ჩანართი).

მეგრული ენა

მეგრელების, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის, უმწერლობო ენა. აქვს ორი დიალექტი: დასავლური (შემადგენელი კილოკაეების სახელწოდებათა მიხედვით – ზუგდიდურ-სამურზაყანული) და აღმოსავლური (სენაკურ-მარტვილური). განსხვავება მათ შორის, უმთავრესად, ლექსიკურია: დასავლურში საგრძნობია აფხაზური ნასესხობანი, აღმოსავლურში – ქართული.

მეგრულში არის ექვსი ხმოვანი: შუა რიგის ა, გ, წინა რიგის (პალატალური) ე, ი, უკანა რიგის (ლაბიალური) – ო, უ. მათგან ა დაბალი აწეულობისაა, ე, ო – საშუალოსი, ი, გ, უ – მაღლისა. გ ზუგდიდურ-სამურზაყანულისთვისაა დამახასიათებელი, სენაკურ-მარტვილურში მის ადგილას ი ან უ გვაქვს (შდრ. ჭგნგ – ჭინუ „წნელი“). ორი ხმოვნის შეერთებითა და ფონეტიკური გარდაქმნებითაა მიღებული ორმაგი (ე. წ. „გრძელი“) ხმოვნები: აა, ეე, იი, უუ.

ჩქამიერ თანხმოვანთა ლოკალური რიგებია: ბილაბიალური (ბ, ფ, პ), დენტალური (დ, თ, ტ), წინაალვეოლარული (ძ, ც, წ; ზ, ს), უკანაალვეოლარული (ჯ, ჩ, ჭ; ჟ, შ), ველარული (გ, ქ, კ; ღ, ხ, ყ), ლარინგალური (ყ; ჰ). გვაქვს ხშულთა სამეულები (მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი), ნაპრალოვანთა – წყვილეულები (მჟღერი, ფშვინვიერი); გამონაკლისს წარმოადგენს ბოლო ორი რიგი: ველარულში მკვეთრი ნაპრალოვანიც (ყ) შედის, ლარინგალურში კი – თითო ხშული (მკვეთრი ყ) და ნაპრალოვანი (ფშვინვიერი პ). სონორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად – ნაზალურებად (ბილაბიალური მ; დენტალური ნ) და ორალურებად (ლაბიალური ფონემის ორი ფაკულტატური ვარიანტი – ბილაბიალური ჭ და ლაბიოდენტალური ვ ალოფონები; ალვეოლარული რ; პალატალიზებული დენტალი ლ, რომელიც მარტვილურ კილოკაეში წარმოდგენილია პალატალური ლ ალოფონით).

დანართი გადმობეჭდილია წიგნიდან: „ქართული ენა (ენციკლოპედია)“, თბ., 2008 (გვ. 309–310, 285–287), სადაც ბეჭდვისას შეცდომები გაიპარა (შრიფტი არეულია, მეგრულის მასალის ნაწილი ლაზურისაშია შერეული). ეს შეცდომები აქ გასწორდა. ამასთან, ვასწორებთ „ენციკლოპედიის“ კიდევ ერთ შეცდომას: სტატიის – „ქართველური ენები“ (გვ. 503–506) – ავტორი არის გ. კატოზიასთან ერთად ი. ქობალაეა.

განსხვავდება წარმოთქმის ორი სტილი: სრული (თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას შეიძლება დაერთოს ერთ-ერთი ვიწრო ხმოვანი: ი, ზ, ან უ) და კვეცილი (სიტყვის ბოლოკიდური ვიწრო ხმოვანი იკვეცება და ორმაგი ხმოვანი ცალმაგად წარმოითქმის). მახვილი სუსტი დინამიკურია; თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ხმოვნით დაბოლოებულებში – ბოლოდან მესამეზე. მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვაშიც, თუკი ეს ხმოვანი ორმაგის ვარიანტია (ე. ი. სიტყვა კვეცილი სტილით წარმოითქმის).

სიტყვის ბოლოს ნ იკარგება, მაგრამ აღდება არაბოლოკიდურ პოზიციაში მოხვედრისას (ე. ი. თუ სიტყვას ნაწილაკი ან კავშირი დაერთვის).

სახელთა ბრუნებისას ბრუნვის ნიშნის ვარიანტულობას განსაზღვრავს ფუძის რაგვარობა (თანხმოვანზე ბოლოვდება თუ ხმოვანზე, ბოლოკიდური თანხმოვანი იგუებს თუ არა მომდევნო თანხმოვნის მეზობლობას). გამოიყოფა ცხრა ბრუნვა: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი – -ი, -ი), მოთხრობითი (-ქ/-იქ), მიცემითი (-ს/-ც/-ის), ნათესაობითი (-იშ/-იში. -შ/-ში), მიმართულებითი (-იშა, -შა), დაშორებითი (-იშე, -შე), დანიშნულებითი (-იშოთ/-იშო, -შოთ/-შო), მოქმედებითი (-ით, -თ), ვითარებითი (-ო, -თ). მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ეფ/-ლეფ სუფიქსით.

ზმნა იუღლება სუბიექტური ან სუბიექტურ-ობიექტური წყობით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პირის ნიშანია ზმნურ ფორმაში, ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი. აბსოლუტური (ე. ი. ნულ- და ერთვალენტია) ზმნა ერთპირიანია პირდაპირი წყობისას, ორპირიანია ინვერსიული წყობის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის პირი გამოიხატება კონფიქსით, რომელიც შედგება შესაბამისი პირის ობიექტური (O) პრეფიქსისა და III პირის სუბიექტური (S) სუფიქსისაგან. რელატიური (ე. ი. ორ- და მეტვალენტია) ზმნის ერთპირიანი ფორმები გვაქვს, როცა შეწყობილია I და II პირი ერთმანეთთან, V/II სუბიექტური პირი III ობიექტურ პირთან (პირდაპირი წყობის დროს), ან V/II ობიექტური პირი III სუბიექტურ პირთან (ინვერსიისას.); ორპირიანი ფორმები გვაქვს, როცა III პირი პირდაპირი წყობის ზმნაში სუბიექტია, ინვერსიულში კი – ობიექტი..

სუბიექტური I და II პირის ნიშნებად პრეფიქსებია. S₁-ის ალომორფებია: გ, ბ, ფ, პ, მ, 0; II პირი ნულოვანი ნიშნითაა წარმოდგენილი; სუბიექტური III პირის ნიშნად სუფიქსია, მისი ალომორფებია: -ს, -(ნ), -უ. ობიექტური პირის ნიშნებად სამივე პირში პრეფიქსებია. O₁-ის ალომორფებია: მ, გ, ბ, ფ, პ; O₂-ისა – გ, რ, 0;

03-ის ერთადერთი ალომორფი ნულია. ფონეტიკური პროცესების შედეგად ზოგ შემთხვევაში პრეფიქსული პირის ნიშანი გაინფიქსებულია (მაგ., მუფშენქ | მუვშენქ < ემუშენქ „ემუშაობ“).

მრავლობითი რიცხვის სუფიქსებია: -თ (I-II პირის სუბიექტის და/ან ობიექტის სიმრავლეს აღნიშნავს ერთპირიან ფორმებში), -ნ, -ა(ნ), -ნა(ნ), -ეს (გამოსატავენ III პირის სუბიექტის სიმრავლეს ერთ-და ორპირიან ფორმებში, I-II პირის სუბიექტის ან ობიექტისას კი - ორპირიანებში).

განირჩევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარი. ვნებითი ორი სახისაა: ნიშნიანი და უნიშნო. ვნებითის ნიშნებია: ი- პრეფიქსი [ერთპირიანებში, მაგ., ირღუ(ნ) „იზრდება“], ა-, ე- პრეფიქსები [ორპირიანებში: არღუ(ნ) „ეზრდება“, ესურებუ(ნ) „ესტუმრება“] და -დ სუფიქსიასი (გოთანდუ „გათენდა“, გუ(უ)თანდუ „გაუთენდა“).

ქცევა სამია: ნეიტრალური (ნიშნები: ო-, ა-, ო:- ოცქვანს „აქებს“, ახარენს „ახარებს“, ბონს „ბანს“), სასუბიექტო (ნიშანი ი:- იცქვანს „იქებს“, იბონს „იბანს“), საობიექტო [ნიშნები: ი- (I-II პირისა), უ- (III პირისა): მიცქვანს „მიქებს“, უცქვანს „უქებს“, მიბონს „მიბანს“, უბონს „უბანს“]. როგორც ვნებითის ე-, ისე ნეიტრალური ქცევის ა- ნასესხობას წარმოადგენს ქართული ენიდან.

მწკრივთა სისტემაში გამოიყოფა ოთხი სერია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, I პირობითი, I კავშირებითი; II სერია – აორისტი, II პირობითი, II კავშირებითი; III სერია – I თურმეობითი, II თურმეობითი, III პირობითი, III კავშირებითი; IV სერია – III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV პირობითი, IV კავშირებითი.

კავშირებითი კილოს მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რომელსაც მხოლოდობითი რიცხვის I და II პირის „რომ“-კავშირიანი კავშირებითის ფორმებში ენაცვლება -ე(ე) სუფიქსი. პირობითი კილოს ფორმები იწარმოება ოთხივე სერიის ნამყო დროის გამომხატველ მწკრივებზე -კო დაბოლოების დართვით.

მეორე სერიის მწკრივებში ყველა ზმნა სუბიექტს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეიწყობს, ამასთან, პირდაპირი ობიექტის მქონენი (ე. ი. გარდამავლები) პირდაპირ ობიექტს სახელობითში სვამენ; პირველ და მეოთხე სერიაში დასმულ ზმნასთან სუბიექტი სახელობითში ზის, ობიექტი (თუ აქვს) – მიცემითში (გარდაუვალთან – ირიბი, გარდამავალთან – პირდაპირიც, ირიბიც); მესამე სერიაში დასმულ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმასთან სუბიექტი მიცემითშია, ობიექტი – სახელობითში; სუბიექტი მიცემითშია რამდენიმე ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის ინვერსიულ ფორმასთან.

ქართულის მსგავსად, გარდამავალ ზმნათა სუბიექტის ბრუნე-
ბია: პირველ სერიაში – სახელობითი, მეორეში – მოთხრობითი, მე-
სამეში – მიცემითი; პირდაპირი ობიექტისა: პირველ სერიაში – მი-
ცემითი, მეორესა და მესამეში – სახელობითი. გარდაუვალ ზმნებს
მესამე სერიაში მეშველზმნიანი წარმოება აქვთ. გამონაკლისს წარ-
მოადგენს რამდენიმე ზმნა, რომლებიც, გარდამავალთა მსგავსად,
ინვერსიულად იწარმოება [მაგ., მურთუმუნ(ნ) „მოსულა“, ღუნჯირუნ(ნ)
„დაწოლილა“]. გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი პირველ სერიაში სა-
ხელობითშია, მეორეში – მოთხრობითში, მესამეში მეშველზმნიანი
ფორმებისა სახელობითშია, ინვერსიულებისა კი – მიცემითში.

მასდარს ძირითადად აწარმოებს სუფიქსი -ა, რომლის წინ შეი-
ძლება იდგეს თემის ნიშანი ან თემისნიშნისეული ელემენტი (ღურ-ა
„სიკვილილი“, ცქვა-აფა „ქება“, თახ-უა „თესვა“). მასდარის მაწარმოე-
ბელი კონფიქსი თ- - უ მხოლოდ მიმართულებით და დაშორებით
ბრუნვათა ფორმებშია დაცული (ომუშებუშა „სამუშაოდ“, ომუშებუშე
„სამუშაოდან“).

სახელურ ჯგუფში პრეპოზიციული წყობაა (მსაზღვრელი +
საზღვრული) გაბატონებული, პოსტპოზიციური (საზღვრული + მსა-
ზღვრელი) შედარებით იშვიათად იხმარება. ორივე წყობის შემთხ-
ვევაში სახელური ჯგუფის ბოლო წევრი იცვლება ბრუნვათა მი-
ხედვით, წინა კი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ან -ი ალომორფით
არის წარმოდგენილი. ასევე თანწყობით სახელურ ჯგუფში უკავში-
როდ ან დო „და“ კავშირით შეერთებულ ერთგვაროვან წევრთაგან
მხოლოდ ბოლო წევრი დაირთავს სათანადო ბრუნვის ნიშანს,
სხვები კი წინამავალი მსაზღვრელის ან საზღვრულის მსგავსად
იქცევიან.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტები-
თურთ, ტფ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსი-
კონი, ტფ., 1938; ჟღენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953;
როგავეა გ., დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში: იკე,
V, 1953; ციკოლია მ., მეგრულის საბურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის
ფონეტიკური მიმოხილვა: აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის
ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1954; გამყრელიძე თ., სიბი-
ლანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკი-
თხი, თბ., 1959; როგავეა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის
საკითხები. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962;
გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი
ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ.,
1965; გუდავა ტ., მახვილის ადგილისათვის მეგრულში: კრებ. „თბილისის
უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969; მისივე, მეგრული ლექსის

სტრუქტურის საკითხები: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975; გუდავატ., გამყრელიძე თ., თანხმონათკომპლექსები მეგრულში: კრებ. „აკაკი შანიძეს“, თბ., 1981; მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის: კრებ. „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1981; Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Harris A. C., Mingrelian: The Indigenous Language of the Caucasus. Vol. I. The Kartvelian Languages, New York, 1991; Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages. Berlin, New York, 1998.

ლაზური ენა

ლაზური, ისევე როგორც ქართული, სვანური და მეგრული ენები, ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება და მეგრულთან ერთად ამ ოჯახის ზანურ ენათა ჯგუფს ქმნის. ტერმინ „ლაზურის“ გვერდით ლიტერატურაში გამოიყენება „ჭანურიც“. ზოგი მკვლევარი უპირატესობას აძლევს ლაზურს, ზოგი – ჭანურს, ზოგისთვის კი ეს ტერმინები სინონიმურია. ამ ენაზე მოლაპარაკეები თავიანთ თავს ლაზს/ლაზებს უწოდებენ, ჭან- ფუძე მათთვის, როგორც წესი, უცნობია.

ლაზები კომპაქტურად სახლობენ შაეი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს საზღვრისპირა სოფელ სარფში და თურქეთში – ართინის ვილაიეთის ხოფის, ბორჩხისა და არჰაეის ილჩეებსა და რიზეს ვილაიეთის ფინდიქლის, არდეშენის, ჩამლიძემშინისა და ფაზარის ილჩეებში. ბევრი ლაზი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ლაზთა ცალკეული ოჯახები გაბნეულია დასავლეთ საქართველოს რიგ რეგიონში (აჭარაში, აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში).

ლაზურში დიალექტურ ერთეულთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: დასავლური (შემადგენელი კილოკავების სახელწოდებათა მიხედვით – ათინურ-ართაშენული და ვიწურ-არქაბული) და აღმოსავლური (ხოფურ-ჩხალური). დასავლური და აღმოსავლური დიალექტები მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ფონეტიკურ-გრამატიკულად, ისე ლექსიკურადაც. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ენობრივი თავისებურებით ერთ-ერთი დასავლური დიალექტი აღმოსავლურთან იჩენს მეტ სიახლოვეს ან დიალექტების შიგნით კილოკავები და ცალკეული თქმები უპირისპირდებიან ერთმანეთს და სხვა დიალექტების ჩვენებას იმეორებენ.

ლაზურის ხმოვნებია: შუა რიგის ა, წინა რიგის (პალატალური) ე, ი, უკანა რიგის (ლაბიალური) ო, უ. ჩქამიერ თანხმოვნებში გამოიყოფა ო ლოკალური რიგი: ლაბიალური (ბ, ფ, პ; ზ/ვ, ჭ), დენტალური (დ, თ, ტ), წინააღვეოლარული (ძ, ც, წ; ზ, ს), უკანააღვეოლარული (ჯ, ჩ, ჭ; ჟ, შ), ველარული (გ, ქ, კ; ღ, ხ, ყ) და ლარინგალური (ჰ). ამ რიგებში შემავალი ხშულები სამეულებს ქმნიან (მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი), ნაპრალოვნები კი – წყვილულებს (მჟღერი, ფშვინვიერი); მხოლოდ ველარულებში გვაქვს გლოტალიზებული სპირანტიც (ყ) და ლარინგალური რიგი ერთი

ნაპრალოვნიოთ (ჰ) არის წარმოდგენილი. სონორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად: ნაზალურებად (ლაბიალური მ; დენტალური ნ) და ორალურებად (გვერდითი დენტალური ლ; პირდაპირები – ალვეოლარული რ და პალატალური მ).

ლაბიალური ფშინივიერი სპირანტი ϕ საკუთრივ ლაზურ სიტყვებში მეტად შეზღუდულად იხმარება და, როგორც წესი, სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება. ლატერალური ლ ზოგ თქმაში პალატალიზებულია უკანა რიგის ხმოვანთა წინაც. გლოტალიზებული სპირანტი ψ მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული ხმოვნებისა და ვ, ლ თანხმოვანთა წინ. ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო ველარული ψ სპირანტი ლაზურ ენაში ვერ ძლებს. ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში ამოსავალი ტყ, წყ, ჭყ კომპლექსები ტკ, წკ, ჭკ-დ არის ცვლილი; ათინურ-ართაშენულში კომპლექსები გამარტივებულია მეორე წვერის დაკარგვით. აქ ამავე წესით მარტივდება ველარული კ ხშულის შემცველი კომპლექსებიც. ხოფურ-ჩხალურში დადასტურებული პყ, ტყ, წყ, ჭყ კომპლექსების შემცველ ფუძეთა მეტი წილი ქართულიდან არის ნასესხები; ორიოდე შემთხვევაში საქმე გვაქვს კომპლექსებში კ-ს ყ-თი შენაცვლებასთან. ასევე გვიანდელი ფონეტიკური პროცესების შედეგია გლოტალიზებული ხშულის შემცველი კომპლექსის სპორადული გამოვლენა ათინურ-ართაშენულში: ტკვა (< თქვა) „თქვენ“, ტკუ (< თქუ) „თქვა“.

აღმავალი დიფთონგები (+ ხმოვანი) მთელ ლაზურს ახასიათებს, დასავლური დიალექტების დაშავალი დიფთონგები (ხმოვანი +) ხოფურ-ჩხალურში, ჩვეულებრივ, ორ სრულ ხმოვნად არის გარდაქმნილი.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია: ნაზალური მ, ნ-ს განვითარება სიტყვის ანლაუტში; რ-ს დაკარგვა ხმოვნებს შორის; სიტყვის ბოლოკიდური ს-ს დასუსტება -ად და ველარულ ხშულთა პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია (გ > ჯ, ქ > ჩ, კ > ჭ) წინა რიგის ხმოვნებისა და პალატალური თანხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულში; ხმოვნის მეორეული სინკოპირება და ბ-ს განვითარება ფუძისეული მ-ს შემდეგ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში (თოფრი „თაფ-ლი“, თხომბუ „თხმელა“, შდრ. ხოფურ-ჩხალურისა და არქაბულის თოფური, თხომუ); ველარული თანხმოვნების მომდევნო ვ ლაბიალის დაკარგვა ი ხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში (შქით „შვიდი“, კინჩი „ჩიტი“ – შდრ. ხოფურ-ჩხალური შქვით, კვინჩი).

ათინურ-ართაშენულში სიტყვის ბოლოკიდურ თანხმოვანს ფაკულტატურად დაერთვის მორფოლოგიურად უფუნქციო თ ან უ ხმო-

ვანი (ძირეს | ძირესო „ნახეს“, მენდაჰთით | მენდაჰთითუ „წავე-
ლით“).

მახვილი სუსტია, ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, ჩვეულებ-
რივ, ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, ათინურ-ართაშენულ-
ნულში ხშირად – მეორეზე.

ყველა სახელის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება. ბოლოკიდური ი
ორ- და მეტმარცვლიან ფუძეებში ისტორიულად სახელობითი ბრუნ-
ვის ნიშანია. გამოიყოფა ბრუნვები: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი
– 0), მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-შ/-ში), მი-
მართულებითი (-შა/-შე), დაშორებითი (-შენ), მოქმედებითი (-თქ/-თენ).
ათინურ-ართაშენულში მიმართულებით-დაშორებითი ერთიანი ბრუნვა
(-შა/-შე); ამავე დიალექტის ზოგ თქმაში სახელობითი, მოთხრობი-
თი, მიცემითი ერთნაირად, ნულოვანი ნიშნით არის წარმოდგენილი.

სახელთა მრავლობითი რიცხვის სუფიქსის ალომორფებია: -ფე,
-ეფე, -ლეფე, -ელეფე. მათი განაწილება დიალექტთა ჯგუფების
(ხოფურ-ჩხალურში, აგრეთვე, მეტყველების ნაწილთა) მიხედვით გან-
სხვავებულია.

ზმნა იუღლება სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური წყო-
ბით, პირისა და რიცხვის გამოხატვის წესი ისეთივეა, როგორც მეგ-
რულში.

სუბიექტური პირის ნიშანთა ალომორფებია: I პირისა – ვ, ბ,
ფ, ძ, ჰ, პჰ, მ, 0; II-ისა – 0; III-ისა – ს-ს/-ს-უ; ობიექტურის
ალომორფებია: I პირისა – მ, მჰ, II-ისა – გ, ქ, ჯ, კჰ; III-ისა – 0.

ქცევა სამია: ნეიტრალური (ნიშნები: ო, 0; მაგ., ოგზაფ/მს
„ანთებს“, ჭარუფ/მს „წერს“), სასუბიექტო (ი: იჭკირუფს/იჭკორუმს
„იჭრის“), საობიექტო (ი/-უ: მიჭკირუფს/მიჭკორუმს „მიჭრის“,
უჭკირუფს/უჭკორუმს „უჭრის“). სხვა ქართველური ენებისგან გან-
სხვავებით, სასუბიექტო ქცევის ფორმები მხოლოდ კუთვნილებით
ურთიერთობას გადმოსცემენ და არა დანიშნულებითსაც (ნიკვათუ
„მოიჭრა (თავისი და არა თავისთვის)“).

განიჩრევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარი. ვნებითი
შეიძლება იყოს ი-პრეფიქსიანი (ერთპირიანი, მაგ., იმტენ/იმტაფუნ
„გარბის, მირბის“), ა-პრეფიქსიანი (ორპირიანი: ანტალენ/ანტალაფუნ
„ერევა, გაერევა“) და ნულნიშნიანი (ღურუნ „კვდება“, უღურუნ
„უკვდება“). ორპირიანი ვნებითის ფორმებს ინვერსიული წყობის შემ-
თხვევაში პოტენციადისის გაგება აქვთ (აჭკომენ „შეუძლია (შეჭა-
მოს“, აჯგინენ | აჯგინაფუნ „შეუძლია აჯობოს“).

გამოიყოფა მწკრივთა ორი რიგი: ძველი ანუ ძირითადი (მეგ-
რულთან საერთო) და ახალი, ძირითად მწკრივებზე დამყარებული
(საკუთრივ ლაზური) მწკრივები. მწკრივები სამ სერიად ჯგუფდება.

სერიებად დაჯგუფებისათვის ამოსავალია ძირითადი მწკრივები. გვიანდელი მწკრივები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მწკრივებზე არიან დაყრდნობილი, შესაბამის სერიას განეკუთვნებიან. მწკრივთა სისტემა ასეთია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, ნანამყოუსრულარი თურმეობითი, პირობითი I, კავშირებითი I, მყოფადი I, მყოფადი I-ის ნამყო; II სერია – აორისტი, ნააორისტალი თურმეობითი I, ნააორისტალი თურმეობითი II, პირობითი II, კავშირებითი II, მყოფადი II, მყოფადი II-ის ნამყო, ნააორისტალი თურმეობითის პირობითი, მყოფადის ნამყოს თურმეობითი, მყოფადის ნამყოს პირობითი; III სერია – ინვერსიული თურმეობითი I, ინვერსიული თურმეობითი II, პირობითი III, კავშირებითი III. მყოფადებისა და არაინვერსიული თურმეობითების წარმოების წესით დასავლური და აღმოსავლური დიალექტები ერთმანეთისაგან მკვეთრად სხვაობენ.

გარდამავალი ზმნები პირველი და მეორე სერიის მწკრივთა ფორმებთან სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობენ, პირდაპირობიექტს – სახელობითში, გარდამავალ ზმნათა მესამე სერიის მწკრივები ინვერსიულია: სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას, პირდაპირიობიექტი – სახელობითში. გარდაუვალ ზმნებს III სერიის ფორმები, ჩვეულებრივ, არ ეწარმოება; გამონაკლისს წარმოადგენს მეშველზმნიანი ყოფერენ „ყოფილა“, დოყოფუმერენ „დამწიფებულა, მოწიფულა“ ფორმები (ხოფურ-ჩხალურში) და რამდენიმე ზმნა, რომლებიც, გარდამავალთა მსგავსად, ინვერსიულად იუღლება (უხთიმუნ, უღვაფუნ „უელია, წასულა“, გაუხუნუნ „შემჯდარა“). ინვერსიულად ნაუღლები გარდაუვალი ზმნები სუბიექტს ზოგ თქმაში მიცემითის, ზოგში კი სახელობითის ფორმით შეიწყობენ.

მასდარის მაწარმოებელია ო – -უ კონფიქსი (უპრევერობო ფორმებში: ოჭარუ „წერა“) და -უ სუფიქსი (პრევერბიანებში: მეხთიმუ „მისვლა“). სპორადულად გეხედება -ა სუფიქსიც: ღურა „სიკვდილი“, წიღვა „ნომბერი (ეტიმოლოგიურად: „კრეფა“).

სამივე გვარის მიმღობების გვერდით მათი ფუნქციით გამოიყენება ზმნური ფორმაც, რომელიც ასეთ შემთხვევაში სახელივით იბრუნება; მაგ., ულუნ-მულუნ-ქ „გამელელ-გამომვლელმა („მიდის-მოდის-მა“), პჭკომით-ფექ „ნაჭამმა („ჭვამეთ-ებმა“).

სახელურ ჯგუფში პრეპოზიციული წყობაა უფრო გავრცელებული, თუმცა იშვიათად პოსტპოზიციური წყობაც იხმარება. გამონაკლისს შეადგენს ის ჯგუფები, სადაც მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია. აქ ორივე წყობა თანაბრად გავრცელებულია (მაგ., ჩქიმი ოხორი || ოხორი ჩქიმი „ჩემი სახლი“). ორივე წყობის შემთხვევაში სახელური ჯგუფის ბოლო წევრი იცვლება ბრუნვათა მიხედვით, წინას კი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალო-

მორფი აქვს. ასევე თანწყობით სახელურ ჯგუფში მხოლოდ ბოლო წვერი დაირთავს სათანადო ბრუნვის ნიშანს, სხვები კი ნულოვანი ალომორფითაა გაფორმებული.

ლიტ.: ჩიქობავა არ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; ქლენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; გამყრელიძე თ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; როგავეა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სო-ნანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965; მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის: კრებ. „თანა-მედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1981; ფენრიხი პ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2000; კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; Март Н., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910; Кипшидзе И. Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб, 1911; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; Adjarian H., Étude sur la langue laze: Extrait des Mémoires de la Société de linguistique de Paris, 1899, t. X; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages. Berlin, New York, 1998.

ჩამატება

3. არ კოჩი დო ხულიგანი

არ კოჩი მეჯლისიშა ნულუნში, არ მითხანიქ, ხულიგანიქ, გოწოტკეიდუ. ადა კოჩიქ იშილუ დო ხუთ მანათი ქომერუ დო მეკოლაფუ. ადა კოჩი მეჯლისიშა ქომეხთუ დო სელამი ქომერუ. მეჯლისის ნა ტეს, ენთეფექ სელამი ვარ მეჩესში, ამუქ უწუ: „სელამი მოთ ვარ მომჩითა?“ „სელამი მუჭო მექჩათაჲ-ქი, დვანჭკილის გოლოგოტკეიდუ დო სინ ფარა ქომერია!“ „თქვან ვარ გიჩქინან, მან ია კოჩის ოყვილუ მეფერია. არ-ჟურ ნდლატკულე ქოშიგნეფთ ია კოჩიში ოყვილუა“

ეს ზღაპარი ავთანდილ აბულაძის ხელით არის დაწერილი 10-15 წლის წინ.

ია ხულიგანიქ იდუშუნუქი: „მითხანის გეფრა, ფარა მომჩაფან-
და“, დო ენა ნარგუ კოჩეფეს გერეში, ართელიქ ხამი გერე დო დო-
ყვილუ.

ადა კოჩიქ ქოშიგნუ, ია ხულიგანი ნა დიყვილუ დო ენა ყვი-
ლუში სუდი. ქომეხთუ ია კოჩეფეშა დო უჯოხუ: „აიდე, მომაყონით დო
ქოგოწირათ ია კოჩი ყვილერი დო ენა ყვილუ, ემუში სუდია!“ მინ-
დიყონუ სუდიშა დო მთინითი ქოშიგნეს დო ქოძირეს, დულა მუ
რტუ. ამ ორას ადა კოჩიქ აშო თქუ: „მან ხუთ მანათითენ თიშენ
ბელა მოიწკი დო ბელა ნა მაყუ, ია დოვოყვილაფია!“

3ა. ერთი კაცი და ხულიგანი

ერთი კაცი საკრებულოში რომ მიდიოდა¹, ვილაცამ, ხულიგან-
მა, შემოჰკრა. ამ კაცმა ამოიღო და ხუთი მანეთი მისცა და გაია-
რა. ეს კაცი საკრებულოში მივიდა და მიესალმა² [იქ მყოფთ]. სა-
კრებულოში მყოფებმა³ რომ სალმით არ უპასუხეს⁴, ამან უთხრა:
„რატომ არ მომესალმეთო?“ „სალამი როგორ გითხრათ⁵, ლოყაზე
შემოგკრა და შენ ფული მიეციო!“ „თქვენ არ იცით, მე იმ კაცს
მოკვლა მივეციო. ერთი-ორი დღის შემდეგ გაიგებთ იმ კაცის მო-
კვლასო“.

იმ ხულიგანმა იფიქრა: „ვისაც დავარტყამ, ფულს მომცემენო“,
და შემხვედრებს⁶ რომ დაჰკრა, ერთმა დანა დაარტყა და მოკლა.

ამ კაცმა გაიგო, ის ხულიგანი რომ მოიკლა, და მკვლელის
სასამართლო. მივიდა იმ კაცებთან და უთხრა: „აბა, მომყვეით და
გაჩვენებთ იმ კაცს მოკლულს და მკვლელის⁷ სასამართლოსო!“
წაიყვანა სასამართლოში და მართლაც გაიგეს და ნახეს, საქმე
რა იყო.. მაშინ ამ კაცმა თქვა⁸: „მე ხუთი მანეთით თაეიდან ჭირი
მოვიცილე⁹ და ჭირად რომ მექცა, ის მოვაკელევინეო!“

¹ მიდის“; ² სალამი მისცა“; ³ საკრებულოში რომ იყვნენ, იმათ“; ⁴
სალამი არ მისცეს“; ⁵ მოგცეთ“; ⁶ რომ შეხვედა კაცებს“; ⁷ რომ მოკლა,
იმის; ⁸ ასე თქვა“; ⁹ მოვიხსენი“.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3–6

მეგრული ტექსტები

ზღაპრები 7–22

ლექსები 22–34

ანექდოტი 35

შელოცვები 35–37

პასპორტი 38

ლაზური ტექსტები

პროზა 39–83

ლექსები 83–88

ანდაზები, ფრაზები 89

პასპორტი 90–91

დანართი

მეგრული ენა 92–96

ლაზური ენა 97–101

ჩამატება 101–102.